საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 27 მარტი, 2014 წელი.

№60 (7441)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

რუსეთი პროექტი არ არის, რუსეთი ბედისწერაა!!!

③

გამოიღვიძე, კამო ანდერსენ, დეპოში ხარ!

②

შეთქმულების თეორია თუ

⑤

რეალური საფრთხე?!

იგი თანდათან თავისი ფილმების გმირებს

⑨

დაემსგავსა...



დღის ამფრაზურიდან

ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

საპაკაშვილის ქოცო და ქოცმაცური

– არა, საპაკაშვილი უნამუსო და ბოროტი ცრუპენტელა რომ იყო, ყველამ ვიცოდით, მაგრამ უტიფარი ვირეშმაკა გიორგი გაბუნიას მიერ ჩაწერილმა ინტერვიუმ, რომელიც „რუსთავი-2“-მა 25 მარტს ჩვენს მოსატყუებლად და მოსაღორებლად გადმოსცა, როგორც იტყვიან, ყველა შავ მოლოდინს გადააჭარბა.

– სიმართლე მაგას არცროდის ულაპარაკია, მაგრამ 25 მარტს მაგ ავკაცის სახით ახალი ტიპის, ახალი თანამედროვე ამერიკული ტექნოლოგიებით შექმნილი ტყუილმფრქვევი ვნახეთ... აშკარად სულ მსხვილ-მსხვილი ტყუილების, სიცრუის ცუნამი დაატრიალა.

– გაღმა დავობს იმ იმედით, რომ გამოღმა დარჩეს, უფრო სწორად, ხახვივით შერჩეს ყველა ის დანაშაული, რაც თავის თანამზრახველებთან ერთად ცხრა წლის განმავლობაში აქვს ჩადენილი.

– იმიტომაც არის, რომ ეს კანდელაკები, დარჩიაშვილები, წიკლაურები, გოგორიშვილები, წერეთლები, გაბაშვილები, მაჭავარიანები, თარგამაძეები და ბარამიძეები ასე თავგამოდებით იცავენ. მაგათ კარგად იციან, რომ პასუხისმგებლობა გარკვეულწილად მაგათაც დაეკისრებათ. ყოველ შემთხვევაში, რაღაცას რომ ფარავენ, ცხადია.

– თან თავს როგორ გვაცოდებდა?! ტაქსის ფულიც კი არა მაქვს, ნიუ-იორკშიც კი მეტროთი დავდივარო. მთელი ჩემი ბარგიბარხანა ზურგით დამაქვსო.

– მაგრამ მეორე წუთში წინა ნათქვამის საპირისპიროს ამბობს, თავისუფალი მოქალაქე ვარ და გადაადგილებას ვერავინ დამიშლისო, დღეს თუ ვაშინგტონში ვარ, ხვალ ტოკიოში ჩავალ, ზეგ მადრიდშიო, მერე რა რომ ეკონომკლასით დავფრინავ და არა ბიზნესკლასითო.

– ეგ ბაბუაცხონებული, თუ ტაქსის ფული არა აქვს, ამდენი ფრენისა და ქვეყნიდან ქვეყანაში სიარულის ფული საიდან?!

– ბებიაჩემს ბაბუაჩემისგან ერთი რესტორნის წილი რომ ჰქონდა, თვეში ორი ათასი ლარი, ის წილიც გავუუქმეო, თანაც ვერ ვეხმარებიო, თორემ ნახეთ და თავად შეეკითხეთო.

– მოუკლავს საწყალი მზია ბებია მაგ უბედურს და ეგ არის.

– ჩემი ცოლი სანდრა ახლა ლონდონში სწავლობს და სადმე ბინაში კი არა, სადღაც სხვენში ცხოვრობსო. საწყალი სანდრა, თბილისის სასახლის მერე ლონდონის სხვენი?! როგორია?!.

– ერთი სიტყვით, პირდაპირ ვერ გვითხრა, მაგრამ აშკარად გვაგრძნობინა, რომ ცოტა ფული თუ არ შევუგროვეთ, ვაითუ მშიერმა ფეხებიც კი გაფშიკოს.

– აი, ნახავთ, მაგ თავის უთავბოლო ბუუტურს თუ მოწმის ჩვენებად არ გაასაღებს, რაც სათქმელი მქონდა უკვე ვთქვიო.

– ჩვენში მალემრწმენი კი ბევრია, მაგრამ არა მგონია, ვინმე ისეთი ჭკუათმყოფელი იყოს, რომ ამ ჩვენი დროის გლახაჭრიაშვილის რომელიმე მამალი თუ დედალი ტყუილი სიმართლედ მიიჩნიოს.

– ისე, ჩემი აზრით, ეგ თითქმის ორსაათიანი ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ინტერვიუ-ლაყაფი ნათელყოფს, რომ ჟვანიას დაღუპვის მიმართ საპაკაშვილის დამოკიდებულებაში ყველაფერი რიგზე ვერ არის და მაინცდამაინც სუფთად ვერ გამოიყურება. მარტო პუტინზე ხელის შეხოცვა საქმეს სულაც ვერ შველის, ეს საპაკაშვილის ძველი და ძალიან ნაცნობი ხერხია.

– ისე, მამაძაღლურად კია შეფუთული ევროპელი და ამერიკელი მეგობრების დახმარებით, რასაკვირველია.

– როგორც ჩანს, სწორედ ამ მამაძაღლური შეფუთვის იმედად იყვნენ ნაციონალები და, კერძოდ, თვითონ საპაკაშვილიც, მაგრამ განა ყოფილა ამქვეყნად რამე საიდუმლო, რომელიც ბოლოს მაინც არ გაცხადებულიყოს?!.

– აი, მე პირადად მაგის შიში დავინახე ფარული დოზით საპაკაშვილის ამ თითქმის ორსაათიან უბადრუკ თავის მართლებაში.

– შენ როგორ ფიქრობ, როცა გირგვლიანის მკვლელებს პრეზიდენტი, იმის მაგივრად, რომ მეტი სამართლიანი სიმკაცრე გამოეჩინა, დროზე ადრე ათავისუფლებს, განა ამ ერთი მკვლელობის მიმართ გამოჩენილი უსამართლობა, უზნეობის გარდა, მის საერთო შინაგან უზნეობაზე არ ლაპარაკობს? უზნეო ადამიანი კი, მოგეხსენება, არაფრის წინაშე არ იხევს უკან.

– რა თქმა უნდა. არც ის დაგავიწყდეს, ჩემო ძმაო, რომ ყველა დროს თავისი ბრუტუსები ჰყავს. ამჟამინდელ ბრუტუსებსა და იმ ბრუტუსს შორის უხილავი ისტორიული კავშირიც კია გაბმული.

– არა, თან როგორ გვაშინებს, ნახე? ჩემი პოლიტიკური დევნა თუ არ შეწყვიტეთ, საქართველოს არც ევროკავშირში მიიღებენ და არც ნატოშიო, საქართველო დაიღუპებაო. ხედავ, რა შეხედულებისაა თავის თავზე! რა თავმდაბალი კაცია ეს ჩვენი ახლა უკვე ვითომ იხტიბარგაუტეხელი ნაპრეზიდენტალი!

– ახლა, მთავარია, რომ პროკურატურამ კვლავაც შეუპოვრად განაგრძოს გამოძიება და სახეზე ააფაროს ამ აშკარად უზნეო ადამიანს წყალგაუვალი მტკიცებულებები, რასაც, დიდად სამწუხაროდ, დღემდე ვერ ახერხებს.

– თუკი, ძმაო, მკვლელი და ათასი დანაშაულის ჩამდენი ხარ, რა შუაშია ევროკავშირი და ნატო. დამნაშავეა არა საქართველო, არამედ პიროვნება, რომელსაც ჩვენივე ბედოვლათობის გამო ცხრა წელიწადი ებარა ქვეყანა. დამნაშავე პიროვნებამ კი პასუხი უნდა აგოს, თანაც მთელი სიმკაცრით.

– ალბათ, იმასაც შეატყობდი, რომ არ უნდოდა მღელვარება შეგვემჩნია, მაგრამ ცხადად ჩანდა, რომ შინაგანად დიდად ცოდვიანი კაცის დაძაბულობას ვერ მალავდა.

– თან რა ქართულით ლაპარაკობდა, ნახე? როცა ენას ურევ, ესეც ხომ ერთ-ერთი რაღაცის ნიშანია. ივანიშვილმა სახეში მითხრაო, პირში კი არა, სახეშიო, ქიცი და ქიცმაცური კი არა, ქოცოც ვიცი და ქოცმაცურიცო.

– ნამდვილად, ნამდვილად, ეგ ინტერვიუ, ანუ თავის მართლებისთვის გამიზნული ეგ ხანგრძელი ბოდვა-ყბედობა სწორედაც საპაკაშვილის მორიგი უზნეო ქოცო-ქოცმაცური გახლდათ.

მოქალაქეთა საუბარი ჩაიწერა

გურამ წიკლაურმა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ცინიზმი უტიფროობისა

გამოიღვიძე, კამო ანდერსენ, დეპოში ხარ!

ეჰ, მართლაც ოქროს ხანაა ბავშვობა! შეურყვნელი სული — სუფთა დაფა, სიწრფელე, გულუბრყვილობა, როცა ყველაფრისა გეჯერა და გწამს, როცა არც თოვლის ბაბუის არსებობა გეეჭვება და არც წეროს თუ კომბოსტოს „ბებიაქალობა“, როცა ზღაპრები გიყვარს და მათში მოთხრობილი ამბებიც ხალასი სიმართლე გგონია...

თუმცა ყველაფერი ეს ამჟამინდელი უფროსი თაობისა და იმისი წინაპრების დროს იყო ასე, თორემ ახლანდელი, გაქანებული კომპიუტერიზაცია-ინტერნეტიზაციის ეპოქის ბავშვები ამას ჭამენ?

აი, ეს ვერ გაითვალისწინა ერთხელ მიხომ, როდესაც თავისი ოთხი წლის ვაჟის კითხვას, — როგორ გავჩნდიო, — დაუფიქრებლად უპასუხა, — წერომ მოგიყვანაო.

— ასეთი ანგელოზი ცოლის პატრონს წეროსთან საქმე რამ დაგაჭერინაო! — ერთობ გაკვირვებია კომპიუტერის „დამმხეცებელ“ ნიკას მამის პასუხი.

ეს საკმაოდ „ჭაღარა“ ანეკდოტი კი ანუო, როგორც ნავთი და წყალი ვერ შეერევა ერთმანეთს, ისევე შეუთავსებელია ეს ორი რამეცო.

ეს არ უთქვამს, მაგრამ იგრძნობოდა „სტრიქონებს შუა“.

აი, სწორედ მაშინ გავთიშე საბოლოოდ ტელევიზორი.

მას კი, ამ მუცლით მეზღაპრეს, მინდა შევახსენო უკრაინის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის არსენი იაცენიუკის სიტყვები, სწორედ იმ პოლიტიკოსისა, საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რომლის მრჩევლის თანამდებობასაც ასე ესწრაფვის თურმე სააკაშვილი: **„ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო რუსეთთან კატასტროფულად გაუარესებული ურთიერთობისა და უკრაინის წინააღმდეგ მისი შეიარაღებული აგრესიის მიუხედავად, მე ყველაფერს ვიღონებ არა მარტო მშვიდობის შესანარჩუნებლად, არამედ რუსეთთან ჭეშმარიტად პარტნიორული და კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად“.**

ნახე, მიშიკო, როგორ უნდა მსჯელობდეს და იქცეოდეს თავისი საქმის მცოდნე, თავისი სამშობლოს მოყვარული და იმისი ინტერესების დაცვა-გაფრთხილებისათვის ყველაფერის გამკეთებელი პოლიტიკოსი?

როგორც „ექსპერტს“ უკრაინის საკითხებში, ისიც გეცოდინება, რომ ამ ქვეყანამ უკვე მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პოლიტიკურ ნაწილს.

ესე იგი, რაო, „დაძმობილებულან“ წყალი და ნავთი?

და დასკვნა: გამოადგება კი ასეთ პოლიტიკოსს შენნაირი „მრჩეველი?“

ჰოდა, ის შენი მატარებელი უკვე დეპოშია, რუსული ავიაგამანადგურებლებისგან ღრუბელ-ღრუბელ სკუპ-სკუპით თავის დამღწევო ბარონო მიუნჰაუზენო!

მისი იქიდან გამოყვანის იმედიც ტყუილად გაქვს!

ამაში „რუსთავი-2“-ისთვის მიცემულმა შენმა ინტერვიუმაც უფრო დაგვარწმუნა, სხვათა შორის!

რუსლან რუსია

შენ კი ზღაპრებს გვიყვები, — პუტინსა და მის მონა საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას უნდათ ჩემი დაპატიმრება, რათა უკრაინის მოვლენებს რამენაირად ჩამომაშორონო!

სად იყო უკრაინის ამბები, როდესაც საქართველოდან მოკურცხლე თურმე შენი უცხოელი, განსაკუთრებით კი ამერიკელი მეგობრების რჩევით?

შენნაირ მეზღაპრეს არ შეიძლება გაგონილი მაინც არ გქონდეს ჰანს კრისტიან ანდერსენის სახელი. სხვათა შორის, იგი შენზე საკმაოდ ახალგაზრდა იყო, როდესაც დაწერა ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ზღაპარი ჩემი ცხოვრებისა“.

შენც ამ რევოლუციონერობანას თამაშს გერჩივნოს, დაჯდე და, რაკი მემუარების ასაკამდე ჯერ შორია, ასეთივე სათაურით დაწერო ნაწარმოები (პლაგიატობაში არ ჩაგეთვლება). ოღონდ გამოქვეყნებას ნუ იჩქარებ — რამდენიმე თაობა რომ წავა ამ ქვეყნიდან, მერე გამოაქვეყნეთო, დაიბარე ანდერძით, თორემ თანამედროვეთა თვალში მასში აღწერილ ამბებს ზღაპრად მონათვლაც ვერ გაამართლებს.

ამ წერილს კი სათაურად კრისტიან ანდერსენის ნაცვლად კამო ანდერსენი იმადღა წარვუმძღვარე, რომ გეცოდინება, ვინც იყო კამო.

დიახ, სწორედ ის რევოლუციონერი კამო, რომელიც, მას მერე, რაც საკუთარი „...::“ ჭამა (გეცოდინება, რაც იგულისხმება ამ მრავალწერტილში, რადგან იმის გემო თურმე არასოდეს დავიწყდება მის თუნდაც ერთხელ „დამგემოვნებელს“), ზოგიერთი თანამედროვე „რევოლუციონერივით“ (ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, გვარს არ დავასახელებ) ყველაფრის მკადრებელი გახდა.

მისი არსებობა რომ იცი, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სწორედ იმისი ხსოვნის პატივსაცემად დაადგმევინე იმ ქუჩის თავში „არქიტექტურული იშვიათობა“ — ველოსიპედის ძეგლი (სხვაგვარად ამგვარი სიმახინჯის ქალაქის ცენტრში დადგმა ვერანაირად ვერ ამიხსნია!), რომელი ველოსიპედითაც დაიღუპა იგი იმ ქუჩაზე.

ახლა რაც შეეხება სათაურში გამოტანილი კიდევ ერთ სიტყვას — **დეპოს.**

ხომ გახსოვს, როგორ მოგვიწოდებდი ქვეყნის პირველ პირად ახალარჩეული, — **ჩვენი მატარებელი უკვე დაიძრა და ვინც ჩვენთან ხართ, ან ჩვენთან ყოფნა გინდათ, დროზე შემოახტით მასო** (შენი ჭკუისა ვიქნებოდით, ეს რომ გაგვეკეთებინა!).

◎ ავჯავფსანდალი

„რუსთავი ორის“ სატელევიზიო ფოკუსები

„ჰიტლერს, რომ „რუსთავი-2“ ჰქონოდა, არ ეცოდინებოდა, რომ გერმანელებმა ომი წააგეს“. — ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილის ამ ხუმრობის საინტერესო შინაარსობრივი გაგრძელება გამოვიდა 2014 წლის 22 მარტის ცხრასაათიანი კურიერის გამოშვება, რომლის მთავარი განსახილველი თემა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარება იყო.

პროკურატურაში გაკეთებული განცხადების თანახმად: ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 27 მარტს 13 საათზე პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხვაზე უნდა გამოცხადებულიყო. თუ რას ფიქრობს თავად ყოფილი პრეზიდენტი ამ საკითხთან დაკავშირებით „კურიერმა“ განახორციელა პირდაპირი ჩართვა ჰოლანდიის ქალაქ ტერნეზონიდან. როგორც სატელეფონო საუბრიდან გამოირკვა, მიხეილ სააკაშვილი პროკურატურაში დაკითხვაზე არ გამოცხადდება.

გასული სიუჟეტის ერთ-ერთ კადრზე, მითითებულ ტიტრში ეწერა, „მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი.“

ამ ფაქტმა სოციალურ ქსელებში საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. შესაბამისად „რუსთავი-2“-ის ტენდენციურობის შესახებ არსებულ ჭორს თუ მართალს ისევ შეასხა ფრთები. „რუსთავი-2“-ის შემხედვარე მაყურებელს მიხეილ სააკაშვილი ისევ საქართველოს პრეზიდენტი ეგონებოდა. საინტერესოა, ეს არის ნაციონალური მოძრაობის ღია პროპაგანდა „რუსთავი ორის“ მხრიდან თუ უბრალო შემთხვევითობა?

ბრალდებები ამ არხის ტენდენციურობასთან დაკავშირებით, არათუ მცირდება, არამედ იზრდება და სატელევიზიო ფოკუსების სერია გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა მანანა კობახიძემ იმავე ცხრასაათიანი „კურიერის“ საინფორმაციო გამოშვებაში სწორედ ფაქტების რუსთავიორისეული ინტერპრეტირება წამოაძახა კურიერის წამყვან გიორგი გაბუნიას პირდაპირ ეთერში. **„ფაქტია, რომ ჩვენ ვისმენთ ხშირად არასწორ ინფორმაციას. მაგალითისთვის გეტყვით, ზუსტად არ მახსოვს სამსაათიან თუ ექვსაათიან კურიერში „რუსთავი-2“-მა გაუშვა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონი კარლ ბილდტის ვიზიტი ისე, თითქოს ეს იყო ნიუსი, ჟურნალისტმა არ მიუთითა, რომ გამოყენებული მასალა იყო არქივიდან. სიუჟეტი ისე იყო გადმოცემული, რომ თითქოს ეს ახლა ხდება და ის, რაც თვეების წინ განაცხადა ბილდტმა, სრულიად განსხვავდება დღევანდელი რეალობისგან“.**

ჟურნალისტმა გიორგი გაბუნიამ მომხდარი შეაფასა, როგორც ჟურნალისტის მექანიკური შეცდომა და არა გამიზნული ქმედება. თუმცა, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, „რუსთავი-2“-ზეა ნათქვამი.

რუსუდან კილასონია

ნინო ქადაგიძე: მიშამ მითხრა, მთხოვე რაც გინდა, ოღონდ გამოძიებას თავი დაანებეო

— ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ განაცხადა. „ვფიქრობ, რომ ამ აჟიოტაჟის ატეხვა ერთ მიზანს ემსახურება, რომ გამოძიების ნორმალური მსვლელობიდან და ყურადღება გადაიტანონ სკანდალურ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუშლის გამოძიებას და აკეთებენ ამ საქმის პოლიტიზებას, რომ გაიკეთონ მერე ფარი, რომ ამ პოლიტიკური დევნის მიღმა დარჩეს სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც არსებობს. რაც შეეხება ჩემი და საკაშვილის შეხვედრებს. ჩვენ გვქონდა რამდენიმე შეხვედრა. ყველა მათგანი იყო დაახლოებით ერთი და იგივე შინაარსის. ჩვენ მუდმივად ვლაპარაკობდით გამოძიებაზე და მე შემიძლია, შევაჯამო ეს სიტყვები. მიშამ მითხრა: „მთხოვე რაც გინდა, ოღონდ გამოძიებას თავი დაანებე. ეს არის მისი სიტყვები“, — განაცხადა ნინო ქადაგიძემ.

* * *

თუ საჭირო იქნება, ოჯახი ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციაზე თანახმაა. „ფოტო და ვიდეომასალები, რომლებიც გავრცელდა, ეს მასალები მე გამოძიების პირველ ეტაპზე ნანახი არ მქონდა. ერთადერთი ფოტო, რომელიც მოხვდა იმ მასალებში, იყო ის, სადაც ტუჩზე სისხლჩაქცევები ჩანს. ეს ფოტო მე რომ შემხვდა, მივედი და ადეიშვილს ვუთხარი — ასეთი ფოტო არსებობს-მეთქი. ადეიშვილმა მითხრა, აბა მოიტანეთ ფოტოებიო. მოიტანეს ფოტოები და ეს ფოტო იქ აღარ იყო“.

„მე გაკვეთას არ ვესწრებოდი. როდესაც დავიწყე ზურას ძებნა, 3 საათიდან ვრეკავდი და ბუნდოვან პასუხს მაძლევდნენ — 5 წუთში, 10 წუთში და მე არ მქონდა ჩემ ქმართან ის ურთიერთობა, რომ გადავტრიალებულიყავი და დამეძინა. ზამთარი იყო და ფეხით წამოვედი წყნეთიდან. დამირეკეს გზაში, ჩამსვეს მანქანაში, მიმიყვანეს. თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა — რას დავინახავდი მე იქ? მე დავინახე, რომ ზურა აღარ არის ცოცხალი, დანარჩენი მე არაფერი მახსოვს“, — განაცხადა ნინო ქადაგიძემ.

* * *

ზურასა და სააკაშვილს შორის დაპირისპირება მუდმივად იყო, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ზურაბ ჟვანიას ძმამ, გოგლა ჟვანიამ განუცხადა. მისი თქმით, დაპირისპირება და აგრესია უმეტესად მოდიოდა სააკაშვილისა და მისი გუნდის მხრიდან.

„ერთი ძალიან საჯარო ფაქტია თუ გახსოვთ. ოქრუაშვილი ბარამიძის დაჭერას აპირებდა. ოქრუაშვილი მაშინ სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო ძალისმიერ ქმედებებში და ბარამიძე იყო ზურას გუნდის წევრი. ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო როგორი ურთიერთობა არსებობდა ამ ორ გუნდს შორის“, — აღნიშნა გოგლა ჟვანიამ.

რუსეთი პროექტი არ არის, რუსეთი ბედისწერაა!!!

ᲐᲘ, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პასუხი შეკითხვაზე, რომელიც ე.წ. ვალდაის სადისკუსიო კლუბის მეათე საიუბილეო შეკრებაზე დაუსვა რუსეთის პრეზიდენტს მავანმა დასავლელმა „ექსპერტმა“ – ამ მოკლე, მაგრამ ღრმადშინაარსობრივ პასუხს წესით უნდა ჩაეფიქრებინა დასავლელი ანალიტიკური სამსახურები და შესაბამისი დასკვნები გამოეტანათ, მაგრამ არა – ისინი ყველას და ყველაფერს მხოლოდ სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და ა.შ. პროექტების ჭრილში განიხილავენ, რადგან მათთვის უცხოა ისეთი „სენტიმენტები“, როგორებიც, სამშობლო, წინაპართა საფლავები, ეროვნება, რელიგია და ა.შ. სხვა მრავალი „სისულელეებია“და ამიტომაც მოხდა 2008 წელს საქართველოში და ახლა უკვე უკრაინაში ის, რაც მოხდა...

იმის წინასწარმეტყველებას, რაც 16 მარტს ყირიმში მოხდა, ნოსტრადამუსობა ნამდვილად არ სჭირდებოდა, მაგრამ მაინც ვიტყვი – ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ჩემს წინა სტატიებში გამოთქმული ვარაუდების ნაწილი უკვე ახდა გამართული რეფერენდუმის სახით. დიახ, ნაწილი, რადგან ყირიმი მხოლოდ დასაწყისია უკრაინაში და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე შეუქცევადი პროცესისა, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

თუ დიმიტრი დონელის მიერ 1380 წლის რუსულ „ძლევაი საკვირველს“ კულიკოვოს ველზე და ივანე მრისხანეს მეფობასაც „გამოვტოვებთ“, რუსეთის იმპერიული ამბიციების საწყისი პეტრე დიდის მეფობა გამოვა. თუმცა, რუსეთის პირველმა იმპერატორმა მხოლოდ ბალტიიდან გაჭრა ევროპაში სარკმელი და შავ ზღვაზე „ფეხის მოკიდება“ ვეღარ მოასწრო; სამაგიეროდ, ეს მისია წარმატებით განახორციელა ეკატერინე II დიდმა, რომელმაც დღევანდელი მსოფლიოს საჯილდაო ქვა, ყირიმის ნახევარკუნძული მოაქცია რუსეთის იმპერიაში, მანვე, 1783 წელს დააარსა ქალაქი სევასტოპოლი, როგორც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის აკვანი!..

მას მერე, საუკუნეზე მეტის ხნის მანძილზე რუსეთის იმპერია ძალმოსილების ზენიტში იმყოფებოდა, რასაც წერტილი ნიკოლოზ II უნიათობის გამო ბოლშევიკურ-ტროცკისტულმა გადატრიალებამ დაუსვა!

თუმცა, როგორც თავად რუსები უწოდებენ რუსეთს, „სვიატაია რუს“, ღმერთმა არ გასწირა და ტროცკისტი მასონებისგან მხსნელად ქართველი სტალინი მოუვლინა, რომელმაც ყველა წინამორბედს გადააჭარბა და მიუხედავად მაშინდელი დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ბლოკადისა (ეს იმათ საყურადღებოთაც, ვისაც დღეს ე.წ. სანქციებით რუსეთის დაშინების იმედი აქვთ), რუსეთის უძლიერესი ბირთვული იმპერია სსრკ-ს სახით დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმა!

სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვ-ბრეჟნევის მსგავსმა ნეოტროცკისტებმა ანგრიეს, გამოხრეს, ძარცვეს სტალინის გენიის ინერციით მავალი სსრკ, რომელსაც საბოლოო წირვა ამერიკელების ტყლიპიანმა „შნირმა“, მიხეილ გორბაჩოვმა გამოუყვანა...

ამ მცირე ისტორიული ექსკურსიდან, როგორც მინიმუმ 2 რამ ჩანს: პირველი, რომ ყირიმი გაცილებით უფრო მეტად „ისკონნო“ რუსული მიწაა, ვიდრე უკრაინული და მეორე – ვლადიმერ პუტინის დღევანდელი ქმედებები რიგით მესამე ცდაა, რუსეთის ძლევამოსილების აღდგენისა და მართლაც – ცივ ომში დამარცხებულმა რუსეთმა ბოლო ოცწლიანი კრუნჩხვა-ჭინთვების შემდეგ, როგორც იქნა გააკეთა ისტორიული არჩევანი და ყირიმ-სევასტოპოლის მიერთებით, რაც უკვე ფაქტია, იგი კვლავ მეორე პოლუსად მოევლინა მსოფლიოს. იმ მსოფლიოს, რომელიც ბოლო 20 წლის მანძილზე რუსეთის პოლიტიკურ-სამხედრო-ეკონომიკური იმპოტენციის გამო, „ლაჯებში ჰყავდა ამოდებული“ აშშ-სა და მის სატელიტ ევროკავშირს – ყოველ შემთხვევაში, როგორც მინიმუმი, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ 16 მარტამდე და 16-ს შემდგომი სამყარო, ორი სხვადასხვა რამ არის...

არსენ იაცენიუკი (ევრომაიდნის მთავარი იდეოლოგი), ალექსანდრე ტურჩინოვი (რადას ბაპტისტი სპიკერი), ალექსანდრე მუზიჩკო, იგივე „საშკო ბელი“ და დიმიტრი იაროში (ტერორისტები), არსენ ავაკოვი და ალექსანდრე კირში (ორივე ჰომოსექსუალი), იულია ტიმოშჩენკო (უკრაინაში კორუფციის დედა), ვიტალი კლიჩკო (კრიმინალური ავტორიტეტების ჯერ „ხელის ბიჭი“ და შემდეგ ბიზნეს-პარტნიორი), ოლეგ ტერნიბოკი (პირწავარდნილი ბანდერელ-ფაშისტი), აი, ვის უჭერს მხარს დასავლეთი, ანუ, აი, ნამდვილი სახე ამერიკული დემოკრატიისა და არასრული ჩამონათვალი თეთრი სახლის ყმებისა, რომელთა საშუალებითაც მოახდინა აშშ-მა ფაშისტურ-ბაპტისტური სახელმწიფო გადატრიალება და რომლებიც ახლა „ღაღადებენ“ თეთრი სახლისა თუ ევროსაბჭოს კაბინეტ-კორიდორებში და „აგრესორი რუსეთისგან“ დაცვას ითხოვენ...

(ისე, ზემოთ ჩამოთვლილი ხალხის გვერდით, მკითხველს არ გაუჭირდება მათი ქართველი ეპიგონების სახელების მიწერა, ანუ, ვარდების სახელმწიფო გადატრიალებასთან პარალელების გავლება).

თეთრი სახლის მაძღარი ყმებისგან მართული ქვეყნების მოსახლეობა კი მშიერმუცელა მონებად იქცევიან ხოლმე – უკრაინელების არ იყოს, ნაცებ-ქოცებში განფენილი მაძღარი ყმებიც მხოლოდ საკუთარი სტომაქის ამოსაყორად დაეთრევიან „ურდოში“!

იძახონ ახლა რამდენიც უნდათ – ეს რა გვიქნა რუსეთმაო, მოუწოდონ ამერიკელ პატრონებს – არიქა, გვიშველეთო და ივიშვიშონ ყირიმის დაკარგვაზე – ეს ყველაფერი მხოლოდ „ყმათა ღაღადი“ იქნება, უკრაინის დეზინტეგრაციის პროცესი კი გაგრძელდება, რადგან იანკების ყმა მაიდანშიკებმა ძია სემის მაძღარ ყმობას გადააყოლეს უკრაინის სახელმწიფო, ზუსტად ისევე, როგორც საქართველო გადაყოლა იანკების ყმა „ნაცმოძრაობამ“ ძია სემის ამბიციებს – რუსეთმა საკუთარი ინტერესები ბოლომდე დაიცვა, ამერიკელებმა უკრაინა ბოლომდე გაწირეს, ხოლო მაიდნელებმა უკრაინა პირწმინდად გაყიდეს და არ მითხრათ ახლა, რომ ამერიკული დემოკრატიის „მაღალი იდეალებისთვის“ ღირდა სახელმწიფოს დაშლა!..

მიხვდა რა, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს (II თუ III, აღარ მახსოვს) რეფრენის ჭეშმარიტებას, რომ „რუსეთს საკუთარი არმიისა და ფლოტის გარდა, ნამდვილი მოკავშირე არასოდეს ჰყოლია“, პუტინის რუსეთმა არჩევანი გააკეთა – იგი აღარ აპირებს ნეოლიბერალების პარპაშის მშვიდად ყურებას! უკრაინაში მომხდარიც და მოსახდენიც, რუსეთის წინააღმდეგ გამოუცხადებული ომია და ეს გამოწვევა მიიღო ვლადიმერ პუტინმა. ეს ომი არა მხოლოდ მსოფლიო გავლენის სფეროების ხელახალ გადანაწილებას გულისხმობს, არამედ პირველ რიგში იდეოლოგიების, გნებავთ, კულტურათა, მსოფლმხედველობათა ომია – ერთის მხრივ უზნეობის გარყვნილების მორევში ჩაძირული დასავლეთი, რომელიც დაუფარავად ცდილობს საკუთარი, ახალი „ღირებულებების“ მსოფლიოსათვის თავს მოხვევას, ერთი სიტყვით, მთელი სამყაროს სოდომიზაციას და, მეორეს მხრივ, მართლმადიდებელი (!!!) რუსეთი – მკითხველს შევახსენებ, რომ რუსეთია ევროპა-აზიის სივრცეში ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე 100 წლით (ეს ციფრი, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად იუმორ-სარკაზმსაც გულისხმობს) აკრძალა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. ანუ, როგორც მინიმუმ 2112 წლამდე რუსეთის ტერიტორიაზე გეი-პარადები ვეღარ გაიმართება!

მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თავის დროზე განაცხადა, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი პირველ რიგში ე.წ. „ლგბტ“ სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაო. ხოლო პრეზიდენტმა ობამამ, ჯერ გეებს ჯარში მსახურების უფლება დაუკანონა და შემდეგ, აშშ-ს ფინანსური დახმარება პირდაპირ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყანაში ამ უფლებების დაცვის ხარისხზეო, კვერი დაუკრა მადამ ჰილარის! შემდეგ, საკუთარი ჰომოსექსუალური გამოცდილების ფაქტიც აღიარა, რაც სტუდენტობის დროს მომხდარა...

ჰოდა, თუნდაც მხოლოდ ამის გამო, რომ ვიყო აშშ-რუსეთის დაპირისპირებაში რუსეთის, თუნდაც ოკუპანტი რუსეთის მხარეს, გამემტყუნება?..

გავიხსენოთ ისიც, რომ 2010 წლის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს თუ რა ბრძანა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა – „დიდი უსამართლობაა, რომ მსოფლიო სასარგებლო წიაღისეულის 40 % რუსეთს ეკუთვნის და ეს უსამართლობა უნდა გამოვასწოროთო“ და „ამერიკული დემოკრატიის“ ჭეშმარიტი სახე ურწმუნო თომათათვისაც ცხადი გახდება!

ზემოთ ხსენებული ფაქტები რომც არ იყოს, ყირიმის ანექსიას, კოსოვოს პრეცედენტიდან გამომდინარე, რეფერენდუმიც უმაგრებს ზურგს, რაზედაც აშშ-ევროპას ისეთი ცინიკური პასუხი აქვს, ბოცო წიკლაურსაც კი შეშურდებოდა – კოსოვო, ეს განსაკუთრებული შემთხვევააო. არადა, კოსოვოს ერთადერთი „განსაკუთრებულობა“ ისაა, რომ ასე უნდოდა მაშინ ამერიკა-ნატოს და ახლა რომ რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციაზე მოთქვამენ, მაშინ ოკუპაცია კი არა, ნატოს ავიაციამ 1999 წლის 24 მარტის აღდგომა ღამეს მიწასთან გაასწორა მართლმადიდებელი (!!!) სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი!

ისე, ცნობისათვის, კოსოვოს პრეცედენტის გამო მოხდა სოხუმ-ცხინვალის აღიარებაც...

ზემოთ, ისტორიული არჩევანი-მეთქი და სწორედ ის არ ესმით ამერიკა-ევროპაში, რომ რუსეთი ამ შემთხვევაში ნებისმიერ ფასს გადაიხდის, ანუ არჩევანს ზნეობრივ-პატრიოტული მოტივაცია აქვს და მისი დოლარებში შეფასება იმ სანქციებიდან გამომდინარე, რითიც ემუქრებიან რუსეთს, უპერსპექტივო საქმეა!

ცნობილი კომენტატორები იმასაც აღნიშნავენ, რომ სანქციების შემოღებით, დასავლეთი რუსეთის მოსახლეობის უმცირესობაზე დებს ფსონს, ანუ მოსახლეობის შეძლებული უმცირესობა ვეღარ წავა პრესტიჟულ კურორტებზე დასასვენებლად თუ საშოპინგოდ ევროპა-ამერიკაში. უბრალო ხალხი კი, რომელიც მთავარი საყრდენია ვლადიმერ პუტინისა, რუსეთის დროშების ფრიალისა და „რასია, რასიას“ სკანდირების ერთგული დარჩება, რისთვისაც „ქამრების შემოჭერაზედაც“ არ იტყვის უარს – რისი დიდი ისტორიული გამოცდილებაც აქვთ...

თუმცა, ანალიტიკოსები იმასაც აღნიშნავენ, პოლიტიკურ-ეკონომიკურმა იზოლაციამ შეიძლება რუსეთის ეკონომიკის განვითარებაზე დადებითად იმოქმედოს, რისი ისტორიული გამოცდილებაც რუსეთს ასევე აქვს – სტალინის სსრკ-მა შეძლო და მხოლოდ შიდა რესურსებზე დაყრდნობით მაშინდელი მოწინავე ტექნოლოგიები აითვისა, მოახდინა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რის შედეგადაც გამოუშვეს საუკეთესო თვითმფრინავები, ტანკები და ა.შ.

ახლაც იგივე შეიძლება განმეორდეს და სანქციების შემოღების შემთხვევაში, რუსეთის ეკონომიკა შეიძლება მხოლოდ გაზე და ნავთობზე დამოკიდებული აღარ იყოს და თავად შექმნას ის, რასაც დასავლეთი არ მისცემს...

ერთი სიტყვით, წილი ნაყარია და, უფრო მეტიც, რუსეთი ყირიმზე არ გაჩერდება იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მიმდინარე პროცესის დიალექტიკა – თუნდაც რუსული ანდაზიდან გამომდინარე, „სემ ბედ ოდინ ოტვეტ“, რუსეთი აუცილებლად შეეცდება და, ჩემი აზრით, არცთუ წარუმატებლად, საკუთარი გავლენები „რუსეთის უკრაინის“ სხვა ნაწილებზეც განავრცოს. მაგალითად, ხარკოვ-დონეცკის რეგიონებიც რეფერენდუმის გზით მიიერთოს. თუმცა, არ გამოირიცხება პირდაპირი სამხედრო ინტერვენციაც იმ შემთხვევაში (და ამის ალბათობა დიდია), თუ ე.წ. „პრავი სექტორის“ ბოევიკებმა სხენებულ რეგიონებში რუსი მოსახლეობის მასობრივი ტერორი დაიწყეს, ან თუ საკაშვილის რჩევებს გაიზიარებენ და ცხინვალის მსგავსად, სიმფეროპოლსაც გრადებით დაბომბავენ!

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს საგარეო უწყებას ვერავინ დაასწრო რუსეთის აგრესიის დაგმობა. არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რუსეთს „ზადნი“ არა აქვს და თუ უკრაინაში ყველაფერზეა წამსვლელი, საქართველოს დასაშოშმინებლად რუსული წკიპურტიც საკმარისი იქნება!

უკრაინის მოვლენებმა ისიც დაგვანახვა, თუ რეალურად რა ფასი აქვს ამერიკა-ევროპა-ნატოს მუქარებს – სამხედრო კომპონენტზე ხომ საუბარიც არ არის და სერიოზული სანქციების შემოღებასაც არ ჩქარობენ. კარასინ-აბაშიძის შეხვედრებზე უარს იქნებ ის სჯობია, რომ რუსეთისავე „იარაღით“ ვეცადოთ აფხაზეთის პრობლემის ნაწილობრივ გადაწყვეტას, ანუ იქნებ რუსეთთან იმაზე გვემუშავა, რომ გალში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია, ჩავატაროთ ყირიმის მსგავსი რეფერენდუმი?

ეს იდეა იქნებ ერთობ ჰიპოტეტურ-მიამიტურია, მაგრამ ვინ იცის, „ცდა ბედის მონახევრეაო“, ნათქვამია და ისედაც, ჰიპოთეტურ იდეებზე მუშაობა სჯობია, გამძვინვარებული რუსეთის წინ სამგლე გოჭივით გამოხდომას...

დავით მხეიძე

◎ ალიან-ჩალიანი

გრძელდება სკოლის კვების ბლოკების შემოწმება

სურსათის ეროვნული სააგენტო სკოლების კვების ბლოკების სახელმწიფო კონტროლს აგრძელებს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით ინსპექტირება ჩატარებულია 41-ში, ხოლო შემოწმების პროცესშია 112 სკოლა. მიმდინარე წელს სურსათის ეროვნული სააგენტო გეგმავს მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული სკოლების კვების ბლოკების შემოწმებას. ამ ეტაპისთვის შესამოწმებლად შეფასებულია 399 სკოლა.

სპეციალისტების განმარტებით, სახელმწიფო კონტროლის შედეგად კრიტიკული შეუსაბამობა, რომლის დროსაც საწარმოო პროცესი ჩერდება, არ გამოვლენილა.

ძირითადი პრობლემები ცხელი წყლის არარსებობას უკავშირდება. უმეტეს შემთხვევაში, ბუფეტები სარემონტო მდგომარეობაშია, რომელთა გამოსასწორებლად ბიზნესოპერატორებს 2-3 თვე აქვთ.

ინტერპრესი

არის წინადადება!

საძართველო ისტორიულად ზღვისპირა ქვეყანა რომაა, ამაზე არ კამათობენ. სამწუხაროდ, არ იქნა და საქართველო საზღვაო ქვეყანად არ ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ, მიწის მუშა, ანუ გეორგიანი ქართველები ვერც ვიკინგებს დაემსგავსნენ და ვერც ზღვაოსან ეგვიპტელებს. ჰოლანდიელებამდე, ესპანელებამდე, ინგლისელებამდე, ფრანგ და სხვა საზღვაო ქვეყნების ზღვაოსნობამდე ხომ მხოლოდ ოცნება შეგვიძლია. არ იქნა და ჩვენს ზღვისპირა ქვეყანაში ზღვაოსნობა ქვეყნის ეკონომიკის, ანდა სხვა საზღვაოსნო ქვეყნებთან ურთიერთობის ქვაკუთხედად ვერ იქცა. მართალია, კომუნისტური მმართველობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის საზღვაო პოტენციალის ათვისება საკმაოდ ეფექტიანად მიმდინარეობდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლისა და სანუკვარი თავისუფლების მოპოვების შემდეგ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. განადგურდა საქართველოს საზღვაო-სანაოსნო მსოფლიოს ერთ-ერთი მძლავრი საზღვაო სატრანსპორტო ორგანიზაცია. იგი 1967 წელს შეიქმნა. თუ მაშინ 11 მოძველებული გემი იყო მის არსენალში, საბჭოთა კავშირის დაშლის დროს ჩვენი საოკეანო ფლოტი 56 თანამედროვე ხომალდს ითვლიდა. საერთო წყალწყვა კი ნახევარ მილიონ ტონას აღწევდა. სანაოსნოში 13 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული. დღეს სანაოსნო აღარ არსებობს. საქართველოს არც ერთი საოკეანო გემი არ აქვს. დღემდე იძიებენ ვინ და როგორ გაანადგურა და მიითვისა ქვეყნის მილიარდებიანი ქონება, მაგრამ ამაოდ.

საქართველოს ორი მძლავრი გემთსაშენი და გემთშემკეთებელი ქარხანა ჰქონდა ბათუმსა და ფოთში. დღესდღეობით არც ერთი არ ფუნქციონირებს. ბათუმის ახალაშენებული გემთმშენებელი ქარხანა არც კი არსებობს. საქართველო ამაყობდა ფოთის საოკეანო თევზჭერის ფლოტით, რომელსაც მძლავრი თევსაჭერი, თევზგადასამუშავებელი ფლოტი და ინფრასტრუქტურა ქონდა. ქართველი მეთევზეები თევზის ჭერას ატლანტის ოკეანეში უოლფიშ-ბეისა და სხვა სარეწაო რაიონებში ეწეოდნენ. ასევე ატლანტის ოკეანეში და შავ ზღვაში ეწეოდა თევზჭერას აჭარის თევზჭერის ფლოტის სამმართველო, რომელსაც მძლავრი თევზგადასამუშავებელი საწარმო ჰქონდა ბათუმში. დღეს არც თევზჭერის სამმართველოა, არც თევზგადასამუშავებელი ქარხანა, არც საოკეანო თევსაჭერი გემები და არც შავ ზღვაში სარეწაო „შავი ზღვის საშუალო ტიპის სეინერები“. ათასობით ადამიანი, რომლებიც თავის დროზე ამ სამმართველოში და მის ინფრასტრუქტურულ დანაყოფებში იყო დასაქმებული, კარგა ხანია, უმუშევრადაა დარჩენილი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მოიშალა საერთაშორისო კავშირები, უმუშევრად დარჩა უმაღლესი კლასის საზღვაო დარგისა და სანაპირო უზრუნველყოფის სტრუქტურებში დასაქმებული ათასობით ადამიანი. მარტო ბათუმში მოქმედებდა ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც შავი ზღვის პრობლემებზე მუშაობდნენ. მათგან დღეს პრაქტიკულად არც ერთი არ მუშაობს პროფილით.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღემდე არსებულ არც ერთ ხელისუფლებას არ ქონდა და არ აქვს საზღვაო დარგის განვითარებისა და ზღვის შესაძლებლობის ეკონომიკური გამოყენებისა და ახალგაზრდობის სათანადო უმაღლესი საზღვაო განათლების აღჭურვის პოლიტიკა.

დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ სტუმარია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, უკრაინის გემთმშენებელ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჩხეიძე.

ბატონ ნოდარის კალამს ეკუთვნის 85 სამეცნიერო ნაშრომი, იგი ოცდაათამდე გამოგონებისა და პატენტის ავტორია, რომელთა უმეტესობა ზღვისა და ზღვის წყლის პრობლემებს განეკუთვნება.

გახდება თუ არა საქართველო საზღვაო ქვეყანა?

— პრობლემა, რომელზეც მე ახლა უნდა გესაუბრო, ახალი არაა. იგი ჯერ კიდევ კომუნისტური წყობის დროს იდგა. შემდგომაც ვცადე ხელისუფლების ყურადღების მიპყრობა ამ თემისადმი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ახლა კი იმედი გამიჩნდა. საქმე ისაა, რომ ამ დღეებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრაზე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, ქვეყნის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის ცვლილების შესახებ იყო ლაპარაკი. კერძოდ, სამეცნიერო ინსტიტუტების გაძლიერებაზე და ახალი ტიპის თანამედროვე უნივერსიტეტების შექმნაზე ისაუბრა პრემიერმა.

ჩემი იდეაც სწორედ ესაა, რომ საქართველოში შეიქმნას თანამედროვე ტიპის საზღვაო საინჟინრო-ტექნოლოგიური მიმართულების სპეციალისტების მოსამზადებელი უნივერსიტეტი.

ბათუმი საუნივერსიტეტო ქალაქი უნდა გახდესო, წინა ხელისუფლება კი აცხადებდა, მაგრამ ეს დეკლარაციას არ გასცილებია. იქამდეც იყო და ახლაც არის საზღვაო აკადემია, მაგრამ იგი მის დანიშნულებას ვერ ასრულებს, ანდა როგორ უნდა შეასრულოს, როცა აქ სულ რამდენიმე სპეციალობა არსებობს.

— რა სპეციალობებია ესენი?

— ესაა საზღვაო ეკონომიკა, გემთმწამყვანი, გემთმექანიკოსი, გემთელექტრომექანიკოსი და ახლახან დაემატა ლოჯისტიკა, ანუ საზღვაო გადაზიდვები. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ამ სპეციალობას ვინ ასწავლის, ჩვენ ბათუმში საზღვაო ლოჯისტიკის სპეციალისტები არა გვყავს. საზღვაო აკადემია არ ამზადებს ჰიდროგრაფებს, ჰიდროინჟინრებს, ნაპირდაცვის სპეციალისტებს, გემთმშენებლებს, იქტიოლოგებს, თევზის რეწვის სპეციალისტებს, ზღვის პროდუქტების, საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგებს, ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელებს, პორტებისა და ნაპირდაცვის მშენებლობის სპეციალისტებს, პორტების ექსპლუატაციის ინჟინრებს, ზღვის ეკოლოგიის სპეციალისტებს, ჰიდრო-გეოლოგებსა და ჰიდროქიმიკოსებს და სხვა მრავალს..

სამწუხაროდ, საქართველო არ იქნა და არ ჩამოყალიბდა საზღვაო ქვეყნად. არადა, ჩვენ დიდი საზღვაო პოტენციალი გვაქვს, რომლის სამრეწველო მიზნით გამოყენება ქვეყნისათვის დიდად მომგებიანი იქნებოდა. ეს შესაძლებლობა რომ არ გამოიყენოს ქვეყანამ, ამაზე დიდი დანაშაული წარმოუდგენელია. მე წინა ხელისუფლების დროსაც დავაყენე საკითხი ბათუმში საზღვაო საინჟინრო-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ. პასუხად მივიღე, რომ ამ იდეას განიხილავდნენ, მაგრამ არავის არაფერი არ გაუკეთებია, საქმე ადგილიდან რომ დაძრულიყო.

ამას წინათ საპატიო ბათუმელების შეკრება გაიმართა. სხვა საკითხებთან ერთად საზღვაო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზეც იყო საუბარი. საზოგადოების დაკვეთაა ბათუმში მსგავსი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, მით უმეტეს, რომ საქართველოში, კერძოდ, ბათუმში საამისო პოტენციალი არსებობს. სრულყოფილი საზღვაო საინჟინრო-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის არსებობა ქვეყანას მომავალში დიდ ხეირს მოუტანს. პირველი ისაა, რომ საქართველოში მომზადდება საზღვაო დარგის ყველა სპეციალისტი, რომლებიც არა მარტო საქართველოში დასაქმდებიან, არამედ — უცხოეთის ქვეყნებშიც. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მაგალითად, თურქეთიდან, ახლო და შორეული აღმოსავლეთიდან სტუდენტთა დიდი რაოდენობა ისწავლის. მეორე ის გახლავთ რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი. მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ აქ მომზადებული სპეციალისტები შეძლებენ, გადაარჩინონ და აღადგინონ ჩვენი შავი ზღვის სიმდიდრე, ზღვის სანაპირო ზოლი. მე ვფიქრობ, რომ ამ უნივერსიტეტში მომზადებული იქტიოლოგები და თევზის მოშენების სპეციალისტები შეძლებენ, საქართველოს შავი ზღვისპირეთის უნიკალური ჯიშის თევზების გადარჩენას და მათს სამრეწველო დანიშნულებით გამრავლებას. ამ მიზნით უნდა შეიქმნას თევსაშენები, ისე როგორც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ხდება. იქ გამოყავთ მილიარდობით ლიფსიტა, რომლებსაც შემდგომ ზღვაში უშვებენ და ამ გზით არა მარტო ზღვის ბინადართა აღდგენა მიმდინარეობს, არამედ ზღვის სამრეწველო-პოტენციალიც იზრდება. ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ზღვა უდიდესი სიმდიდრის წყაროა, მაგრამ რეალურად არავითარი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა არ ტარდება. მაგალითისათვის აღვნიშნავ, რომ დღევანდელი ტექნოლოგიების გამოყენებით (მხედველობაში მაქვს ე.წ. ნანო-ტექნოლოგიები, წინათ ამას მაღალ ტექნოლოგიებს ვეძახდით) შესაძლებელია ზღვის წყლიდან სელექტიურად მრავალი ნივთიერების ამოღება და გადამუშავება — ასეთი სამუშაოები ტარდებოდა საქართველოში და შესაბამისად ამის პოცენციალი არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას ზღვის ფლორის შესახებ — მრავალი სახეობის ზღვის მცენარის გამოყენებაა შესაძლებელი, როგორც კვების, ისე ფარმაცეტულ მრეწველობაში. ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, რაც მთავარია, შეიქმნება ზღვის ეკოლოგიის შესწავლისა და მართვის ცენტრი.

ისიც უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტში მომზადებული სპეციალისტი-ჰიდროინჟინრები და ჰიდრომშენებლები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას ახალი პორტებისა და გემთმისადგომების დაპროექტებისა და მშენებლობის, მათი ექსპლუატაციის საქმეში, რითაც უფრო დიდ მუხტს შესძენენ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას.

თქვენი გაზეთის მკითხველებს, ალბათ, კარგად ახსოვთ, რომ საქართველოში ორი მძლავრი გემთსაშენი და შემკეთებელი ქარხანა არსებობდა — ერთი ბათუმის, მეორე ფოთის. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირს შავ ზღვაზე მხოლოდ ეს ორი გემთსაშენ-შემკეთებელი ქარხანა დარჩა, დანარჩენი ყველა ფაშისტურ გერმანიას ქონდა ოკუპირებული. საქართველოს ამ საწარმოებში ხდებოდა საბრძოლო და სხვა სახის გემების შეკეთება და აქედან უბრუნდებოდნენ ისინი საბრძოლო მოქმედებების რაიონებს. დღესდღეობით ამ საწარმოებიდან ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა. საბედნიეროდ ჯერ კიდევ არსებობენ ამ დარგის სპეციალისტები, სწორედ მათი გამოყენება შეიძლება ახალ სასწავლო დაწესებულებაში და ღმერთმა ინებოს, ახალი გემთსაშენი, თუ შემკეთებელი საწარმოების ამოქმედებაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ფოთის ნაწილობრივ გადარჩენილი გემთშენებელი ქარხნის დირექციას სურს, 10 წლის განმავლობაში ააშენოს 20 თევსაჭერი დიდი სეინერი, რაც ძალზედ მისასალმებელია, მაგრამ აქ დგება, როგორც საკადრო, ისე ფინანსური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია. კარგი ინვესტორის მოძებნით და მოწვევით.

განა გასაკვირი არაა ის, რომ საქართველო ერთადერთი საზღვაო ქვეყანაა, სადაც არ არის იახტკლუბები.

— ბატონო ნოდარ, ბათუმში იახტკლუბი ზარზეიმით გაიხსნა ამ რამდენიმე წლის წინათ, თქვენ კი ამბობთ, არ არისო.

— ფორმალურად შეიძლება არის, მაგრამ რეალურად არ არსებობს. რა არის იახტკლუბი? ადგილი, სადაც მიდის ხალხი და იახტებს აშენებს, ან არემონტებს, ანდა ყიდულობს და იქ მის ექსპლუატაციას ეწევა. რაიმე ასეთი ბათუმში ხდება? არა. იახტკლუბები არც ბათუმშია, არც ფოთში, ეს კი სირცხვილია. მე ინსტიტუტი ნიკოლაევში (უკრაინა) დავამთავრე, ნიკოლაევი ზღვაზე არაა, იგი მდინარე ინგულზეა. იქ გემთმშენებელი ქარხანები და აუარება იახტკლუბია. იქ ახალგაზრდობა მიისწრაფვის, რათა ზღვასთან ქონდეს შეხება. ჩვენთან კი მსგავსი არც ტრადიციაა და არც მისწრაფება.

მოგეხსენებათ ბათუმში არსებობს საზღვაო აკადემია, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი ბათუმის ფილიალი, შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრი (ყოფილი ოკეანოგრაფიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილება). სწორედ ამ სასწავლებლების ბაზაზე უნდა შეიქმნას საზღვაო-საინჟინრო-ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. რაც მთავარია, ეს უნივერსიტეტი არ უნდა იყოს მარტო სასწავლო დაწესებულება. მას უნდა ქონდეს მძლავრი საკვლევი ლაბორატორიები, შესაბამისი ექსპერიმენტული საწარმოები, რომლებსაც დღეს ტექნო-პარკებს უწოდებენ. მე იმედი მაქვს, რომ მოიძებნებიან ინვესტორები, რომლებიც ამ საქმეში ფულს ჩადებენ. ამ უნივერსიტეტის მომზადებულ სპეციალისტებზე რომ დიდი მოთხოვნილება იქნება, არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში, ამაში დარწმუნებული ვარ.

დღეს, სამწუხაროდ, არაპროფესიონალიზმი დიდადაა ფესვგადგმული. ამაზე, სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზეც მწვავედ ისაუბრეს სტუდენტებმა. ავიღოთ, მაგალითად, აჭარის სანაპირო ზოლის ნაპირგამაგრებითი სამუშაოები. უზარმაზარი თანხა იხარჯება, დიდძალი სამუშაოები სრულდება, მაგრამ ეს ყველაფერი პირდაპირი გაგებით წყალში გადაყრილი ფულია.

— რას ამბობთ, ბატონო ნოდარ, სანაპირო ზოლს ვამაგრებთო, ამას წინა ხელისუფლებაც აცხადებდა და ახლანდელიც სიამაყით აცხადებს, თქვენ კი ამბობთ, ეს წყალს გატანებული შრომააო.

— დიახ, ასეა. შვიდ-რვა წელიწადში გამაგრებული ნაპირისგან არაფერი დარჩება, ამის გარანტიას მე გაძლევთ. ეს იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც კეთდება დილეტანტურ დონეზეა. ამ სამუშაოებს არავითარი მეცნიერული საფუძველი არა აქვს. ზღვას კი მისი კანონები აქვს და უცოდინრად გაკეთებულ საქმეს არავის არ აპატიებს.

— თქვენი ნათქვამიდან შთაბეჭდილება მრჩება, რომ იცით, რა როგორ უნდა გაკეთდეს, ხოლო იმან, ვინც ამ სამუშაოებს ასრულებს, არ იცის, რასა იქმს.

— სწორედაც ასეა. სულ რამდენიმე კაცია დარჩენილი, რომლებმაც იციან, რა და როგორ უნდა გაკეთდეს მეცნიერულად, მაგრამ მათ არავინ არაფერს არ ეკითხება. მინდა აღვნიშნო, რომ ისეთი ცნობილი ჰიდროინჟინერი, როგორიც გახლავთ ბატონი შოთა ფაღავა, დღესაც ჭარმაგადაა და მას, როგორც საუნივერსიტეტო განათლების საქმეში, ისე პრაქტიკულ ჰიდროტექნიკურ საქმიანობაში შეუძლია შესაბამისი წვლილის შეტანა. ასეთი კვალიფიკაციის სპეციალისტის ნაპირგამაგრების საქმეში გამოუყენებლობა მილიონების უმიზნოდ ზღვაში ჩაყრას ნიშნავს. მე რომ ვამბობ ისეთი უნივერსიტეტი თუ დაფუძნდება, მაშინ სანაპირო ზოლის დაცვა, თუ სხვა პრობლემა, რომელიც ზღვასთანაა დაკავშირებული, წარმატებით გადაწყდება. თუ არა და დილეტანტიზმი და უცოდინარობა არა მარტო ზღვას დაღუპავს, არც ქვეყანას უქადის კარგს. დღეს არსებული ინოვაციური პროექტები იმის საშუალებას იძლევა, რომ ნაპირიც შევინარჩუნოთ და პლაჟიც. მე და ჩემმა მეგობრებმა დავაპატენტეთ ნაპირის დაცვის მცურავი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზღვის ტალღების ნაპირთან მოახლოებამდე შესუსტებას, ჩაქრობას, საქმე ისაა რომ მას ნაპირდამანგრეველი ენერგიის ძალა აღარ აქვს. ამას ტალღების ძალის ჩამაქრობელი სისტემა ეწოდება, ამ შემთხვევაში ნაპირი ფაქტობრივად ეროზიას არ განიცდის.

რაც შეეხება ახალი უნივერსიტეტის სასწავლო სამეცნიერო კადრებით დაკომპლექტებას, არც ესაა პრობლემა. ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, თითქმის ყველა სპეციალობაზე მოიპოვება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი მეცნიერ-პედაგოგები. შეიძლება რამდენიმე პოზიციაზე მოგვიწიოს მსოფლიო რანგის მეცნიერების მოწვევა. თუმცა, არც ესაა პრობლემა. ეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. პირიქით, დღეს ჩვენი არაერთი მაღალი რანგის სპეციალისტია საზღვარგარეთ დასაქმებული. მაგალითად, ბათუმელმა იქტიოლოგებმა, ამ რამდენიმე წლის წინათ თურქეთის მხარის. თხოვნით იქ მოაწყვეს საკალმახე მეურნეობები, ეგრეთ წოდებული თევზის ქარხნები, წარმოების სრული ციკლით. რამაც ჩვენს მეზობლებს უდიდესი ეკონომიკური მოგება მოუტანა.

მე მივმართავ ყველას, ვისაც საზღვაო საინჟინრო-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებაში თანადგომა შეუძლია, ყველაფერი გააკეთეთ, რათა ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო და აუცილებელი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება აღარ გადაიდოს.

მივმართავ ქვეყნის პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ქალბატონ თამარ სანიკიძეს, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ გიორგი კვესიტაძეს, ყველა ქართველ მეცნიერსა და ერის კაცს: გთხოვთ დაგვიჭირეთ მხარი ამ მამულიშვილურ საქმეში. ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ ქვეყნის ეკონომიკური და სამეცნიერი პოტენციალის გაზრდაში, შავი ზღვის გადარჩენაში და ჩვენი მომავალი თაობის აღზრდაში.

ამირან კილურაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.

შეთქმულების თეორია თუ რეალური საფრთხე?!



მას შემდეგ, რაც უკრაინის მოვლენების პარალელურად დასავლეთმა საქართველოსკენ ნაბიჯი გადმოდგა, ქართულ საზოგადოებაში აქტიურად განიხილება რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხეები, მათ შორის ე.წ. მეხუთე კოლონის შექმნისა და გააქტიურების თემა. არის თუ არა მსგავსი საფრთხე, ძნელი სათქმელია, მაგრამ „ევრაზიული ინსტიტუტის“ წევრებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ ე.წ მეხუთე კოლონის საფრთხეზე საზოგადოების ფოკუსირება მაინც ხდება.

ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ეს თემა ქვეყნის უსაფრთხოების რანგში აიყვანა, ხოლო ნატოს მოწინააღმდეგეებს „ევრაზიული ფონდის“ ფილიალის წევრები უწოდა, რომელსაც დუგინი ხელმძღვანელობს.

რამდენად სერიოზული საფრთხეა საქართველოში პრორუსული ძალების გააქტიურება, ამ თემაზე ექსპერტი გია ხუხაშვილი გვესაუბრება.

— ბატონო გია, ბოლო დროს საკმაოდ ხშირად საუბრობენ რუსეთის მიერ ე.წ. მეხუთე კოლონის შექმნასა და გააქტიურებაზე საქართველოში. თქვენი შეფასებით, რამდენად სერიოზული საფრთხეა?

— დავიწყოთ იქიდან, რომ მეხუთე კოლონა, როგორც ასეთი, ყოველთვის მუშაობდა საქართველოში და არც არასოდეს შეუწყვეტია მუშაობა. თუმცა, ვფიქრობ, რომ ძალიან გაბერილია ეს თემები და ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ. არანაირი საფუძველი, არანაირი ნიადაგი იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად სერიოზული პრობლემები შექმნან ამ ძალებმა, საქართველოში ჩემი აზრით, არ არსებობს.

მაინცდამაინც, მეხუთე კოლონის დაძახებაც არ მიმაჩნია სწორად ადამიანებზე, რომლებიც შესაძლოა, ჩვენთვის მართლაც ძალზე მიუღებელ რაღაცას ამბობენ. კი, გასაგებია, კატეგორიულად მიუღებელია, მაგრამ ადამიანები პოლიტიკის მიმართ თავიანთ აზრს გამოთქვამენ, არ მოსწონთ ნატო და ევროკავშირი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ ევროკავშირში გვინდა შესვლა ფასეულობათა სისტემის გამო, გვინდა იმის გამო, რომ ტოლერანტულები ვიყოთ, სხვისი აზრის მიმართ მისაღებია თუ არა ის, აგრესიულები არ ვიყოთ.

პარადოქსია, მაგრამ ამ ადამიანების მიმართ ასეთი აგრესია არ მეტყველებს იმ ფასეულობებზე — მათ აქვთ თავისი აზრი, ჩემთვისაც ძალიან მიუღებელი, მაგრამ ცემა-ტყეპაზე გადასვლა არ მესმის, რას ნიშნავს — ეს არის დასავლური ფასეულობები?!

ეს ადამიანები პირიქით იქცევიან — აგრესიული დროშის აღება დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად, ვფიქრობ, ყოვლად მიუღებელია. მით უმეტეს, რომ საერთოდ არ არსებობს ასეთი პრობლემა — 100 კაცი რომ შეიკრიბება, რაღაცას იტყვის და ამას ასეთი ამბები მოუწყო — გაუგებარია.

— თვითონ რუსეთის მცდელობა თუ იგრძნობა, რომ პრორუსული ძალები გააააქტიუროს საქართველოში?

— ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავ, არ არსებობს ნიადაგი, ყოველ შემთხვევაში, აქტიური მოქმედებები რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ამ ეტაპზე არ ჩანს. მეტსაც გეტყვით, არ ვფიქრობ, რომ ახლა რუსეთს ჩვენთვის სცალია. მათ აქვთ ოპერატიული, ტაქტიკური პრობლემა, რომლის გადაწყვეტისთვის გადაჯგუფებით არიან დაკავებულები. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის მხრიდან აქტიურობა გაიზარდოს, მაგრამ ჯერჯერობით, ეს არ ჩანს.

— ლაპარაკი იყო გიორგი აბაშიძის საქართველოში ჩამოსვლაზე, იგივე ვალერი ხაბურძანიას გააქტიურებაზე და ა.შ. ეს ყველაფერი მხოლოდ შეთქმულების თეორიაა?

— ვფიქრობ, რომ შეთქმულების თეორიაა. გიორგი აბაშიძის პოლიტიკა ვის გაუგია საქართველოში, როდის იყო გიორგი აბაშიძე პოლიტიკური ფიგურა? — ამ თეორიებით რომ ადამიანი პოლიტიკური ფიგურა გავხადოთ, არასერიოზულია. რამდენადაც ვიცი, არც პოტენციალი და არც საამისო ამბიცია არ აქვს ამ ადამიანს.

ხაბურძანია ცოტა სხვა ისტორიაა, მას შეიძლება ასეთი ამბიცია ნამდვილად აქვს. მან მოსინჯა სიტუაცია, მიხვდა, რომ მაინცდამაინც ბევრი არაფერი არ გამოუვიდოდა და ჩაწყნარდა. მით უმეტეს, რომ ამ ადამიანებს არანაირი პოტენციალი არ აქვთ და არც რესურსი, მგონია, რომ ჩვენ თვითონ ვქმნით მათგან ფიგურებს ჩვენი ბევრი საუბრით. სინამდვილეში არაფერი არ ხდება — ქარიშხალია ჭიქაში.

— თვითონ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხომ არ აწყობს თეორია, რომ ე.წ. მეხუთე კოლონა მოქმედებდეს საქართველოში. ისინი ამ თემაზე საკმაოდ აქტიურად საუბრობენ...

— „ნაციონალურ მოძრაობას“ რა აწყობს და არა, ესეც უკვე ნაკლებად საინტერესოა. „ნაციონალური მოძრაობა“ წლების განმავლობაში ყოველთვის თვითონ იყო „მეხუთე კოლონა“. წლების განმავლობაში რუსეთის ინტერესთა წისქვილზე ვინც ასხამდა წყალს, სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო. იმიტომ, რომ პოლიტტექნოლოგიებით, ამოცანების გადასაწყვეტად, დაპირისპირებულ ძალებზე ბევრად უფრო მეტი დივიდენდის მოპოვება შეიძლება, ვიდრე — ე.წ. მეგობრების.

მოგიყვანთ უკრაინის მაგალითს. გავიხსენოთ, ვინ არის რუსეთის მთავარი მოკავშირე უკრაინაში, ეს არის ე.წ. მემარჯვენე სექტორი — თავისი აშკარად გამოხატული ნაციონალური პოზიციებიდან, ფაქტობრივად, თავისი აგრესიული ქმედებებით რუსეთის ბუნებრივი მოკავშირეები ხდებიან — ერთგვარი სიმბიოზური პროცესია.



ასეა „ნაციონალური მოძრაობაც“ — თვითონ არის რუსეთის მოკავშირე, არა პირდაპირი, არამედ იმ გაგებით, რომ ისინი თავისი ქმედებებით აკეთებენ რუსულ საქმეს.

— დავუშვათ, არ არსებობს „მეხუთე კოლონის“ ამოქმედების საფრთხე. რა ტიპის საფრთხეებია მოსალოდნელი რუსეთიდან, იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს ვაწერთ დაჩქარებული ტემპით და შესაძლოა, შემოდგომაზე მაპ-ის თემაც გააქტიურდეს?

— პირდაპირი აგრესიის საფუძველს ვერ ვხედავ. რუსეთს უკვე საკმაოდ აქვს მიტაცებული საქართველოს ტერიტორიები და ამ პოლიტიკის გაგრძელების შანსებს ვერ ვხედავ. თუმცა, საზღვრის ფიქსაცია შეიძლება მოხდეს. არ არის გამორიცხული, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების საკითხი დადგეს, რეფერენდუმის სახით, ყირიმული სცენარით.

კიდევ თეორიული შანსია, რომ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დაიწყოს გარკვეული აქტივობები, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, გარკვეული მიზეზების გამო, რომელზეც არ მინდა ახლა საუბარი. ასე რომ, ბევრი არაფერი არ არის ამ პერიოდში მოსალოდნელი, მით უმეტეს, ასოცირების ხელშეკრულება არ არის რუსეთისთვის ძალიან მტკივნეული.

— რაც შეეხება მაპ-ს?

— მაპ-ის თემა საკმაოდ ბუნდოვანია. ეს თემა შეიძლება იყოს რუსეთისთვის უფრო სერიოზული და მეტი აგრესია იყოს მოსალოდნელი, მაგრამ მგონია, რომ მაპ-ზე საუბარი დასავლეთის მხრიდან ცოტა შინაარსს მოკლებულია.

ისინი არ ლაპარაკობენ ამ თემაზე იმიტომ, რომ მართლა რაღაცის მოცემას აპირებენ - ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ისინი რუსეთთან ჩვენთვის უცნობი პოლიტიკური ვაჭრობის კონტექსტში უფრო ლაპარაკობენ, ვიდრე რეალურად აპირებენ ჩვენთვის ღია კარში შეპატიჟების ინიცირებას. ეს კარი 10-15 წელია ღიაა და რუსეთთან მუდმივად ვაჭრობის კონტექსტში უფრო ვხედავ ყოველთვის, ვიდრე რეალურად მოძრაობის კონტექსტში.

თუმცა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვხედავთ, რომ სამყარო იცვლება, ძალიან დიდი დინამიკა აკრიფა ყველაფერმა, რაღაც ცივი ომისმაგვარიც კი დაიწყო, ამას (მაპ-ს) არ გამოვრიცხავ, მაგრამ თუ რეალობად იქცა, სჯობს, მაშინ ვისაუბროთ.

— საექსპერტო წრეებში აქტიურად საუბრობენ, რომ რუსეთი როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს მიმართ ამუშავებს ფედერალიზაციის გეგმას და სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით ქართული საზოგადოების პოზიცია აინტერესებდათ რამდენიმე თვის წინათ საქართველოში მყოფ რუს ექსპერტებსაც. შესაძლებელია ამ თემის გააქტიურება მოინდომოს რუსეთმა, ე.წ პრორუსულ ძალებზე დაყრდნობით?

— არ ვფიქრობ, რომ რუსეთში შეიძლება ასეთი გეგმა არსებობდეს. თვითმმართველობა ჩვენთან საკმაოდ ძლიერია და სასურველია, კიდევ უფრო გაძლიერდეს, ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც უნდა შევეწინააღმდეგოთ ამ პროცესს. რეგიონული პრინციპით განაწილება მეტ-ნაკლებად არსებობს, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ, რომ რუსეთმა ამ კუთხით იმუშაოს. ან რაშია მათი ინტერესი, ეს მაინცდამაინც კარგად არ მესმის.

უკრაინაში ეს პროცესი გასაგებია, აღმოსავლეთ უკრაინაში ძირითადად რუსებით დასახლებული რეგიონებია, მაგრამ საქართველოში რატომ უნდა ჰქონდეს რუსეთს ამისი ინტერესი, არ მესმის. შესაძლოა, ინტერესი ჰქონდეს კიდეც, მაგრამ ჩვენთან ამის საფუძველი არ არსებობს.

მარიამ თოდაძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **მარგველაშვილი და ღარიბაშვილი დედაჩემ—მამაჩემივით არიან. წესით დათოა ოჯახში პრეზიდენტი, მაგრამ მაიამ თუ ხელი არ მოაწერა — წეროს და იკითხოს.**

● **ხალხმა ვინც აირჩია, იმათ აცალეთ საქმის კეთება და მიეცით საამისო ბერკეტები. რა არი გახეხილი ყველის შესანახი კონტეინერივით რო შემოგვაჩეჩეთ ზოგზოგიერთი პოლიტიკოსი ვსკობკახ? ჯერ გვკითხე, თავზე რო გვასვამ — გვინდა?**

● **50 შეკითხვა რომლის ყოფილი პრეზიდენტისთვის დასმითაც ქვეყნის იმიჯი უნდა შელახო, სანამ ცოცხალი ხარ.**

● **მერაბიშვილი ჩადგმით, სააკაშვილი ჩამოტარებით...**

● **კოჟორიძე-გიგაური-ლომჯარიას ბეჭებზე მდგარო საქართველო. . . ამათ, რომ კაცმა უსმინოს, ამდენ ეპიზოდზე დაბარების გამო შეშფოთება იმას ნიშნავს, რომ ყველა საქმეზე ცალ-ცალკე უნდა ჩამოათრიო ზებრა კონტეინერით, რათა დასავლეთს ეჭვები არ გაუჩნდეს და სუპერდემოკრატი, ჰიპერაქტიური პაწაწინა გიტლერუკა არ მიეჩაგროთ. ის გიტლერუკა, ასე უხვად, რომ გასცემდა ხალხის მილიონებს და კვებავდა ნაძირალა ლიბერასტებს.**

● **უსუფაშვილი თვლის, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომლითაც აშშ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარების გამო შეშფოთებას გამოთქვამს, არის ძალიან მკაფიო და ძალიან დახვეწილი...**

ეს „დახვეწილი“ რაღა იყო? — დეპარტამენტის შტერულ განცხადებაზეა საუბარი თუ სტრადივარიუსის ვიოლინოზე?

● **მოკლედ ამ ობამას შეშფოთებები, ჩინეთის ბოლო, მეცხრაასე გაფრთხილებასავითაა!**

● **„2014 წლისათვის საქართველოში საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ოფისის გახსნა იგეგმება“.. მდა

კაცი!

არ დაღლილიყოს მისი მარჯვენა, არ დაცლილიყოს მისი სიყვარულის ჭურჭელი!

ყველა კუთხეს ყავს თავის გულისა და სულის შემცნობელი, მისი ავ-კარგის გამრჩევი, მოსარჩელე და მოყვარული ყველაფერი იმისა, რითაც მაღლობს და თავი მოაქვს „სოფელს“. ასეთი კაცია ზემო იმერეთში, საწერეთლოში, ცეზარ ლაშხი, ბავშვობიდანვე მიბმული თავისი საჩხერის მიწა-წყალს, ბედნიერი იმით, რომ მას ღმერთმა არგუნა ყოფილიყო გამოჩენილი ზემოიმერელი თანამემამულეების ერთგული ჯარისკაცი, მათი დიდი საქმეების დამფასებელი, მზრუნველი და დამცველიც კი, როცა ეს დროსა და საჭიროებას მოუთხოვია.

საოცარია, რომ ეს ჭაბუკური აღნაგობის ცეზარი 75 წლისა გამხდარა, მაგრამ რას ვიზამთ, დროს ვერავინ დაუდგება წინ, დაე იყოს ასე, მთავარია, რომ იგი დღესაც დგას იქ, სადაც უნდა იდგეს — სხვიტორში, აკაკი წერეთლის ციხე-დარბაზის „სახლთუხუცესად“, აქ აგრძელებს თავისი მკვიდრად მონიშნულ საქმიანობას, რომლის შედეგი დღეს ისე საჭიროა ჩვენი მომავლისათვის, როგორც არასდროს.

ცეზარ ლაშხის ბედი იყო, რომ მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა „ისტორიკოს-პატრიოტის“ სრული კურსი. პროფესორების შოთა მესხიასა და ოთარ ჯაფარიძის მეთვალყურეობით შეისწავლა საქართველოს ისტორია და არქეოლოგია. როინ მეტრეველის, ასანა ნადირაძის, ზურაბ რატიანის წრეში შეიძინა მეგობრობისა და ურთიერთგატანის მარადიული თვისება, რომელიც მასში დაკრისტალდა და მისი ხასიათის გამორჩეულ თვისებად იქცა.

ამადაც იყო იგი საუკეთესო, უმცროსი მეგობარი მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, ჯურხა ნადირაძის, იუზა ჩხეიძის და კიდევ სხვა რჩეული კაცებისა, რომლებიც გვასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა იცოცხლო კაცმა და მერე როგორ უნდა წახვიდე ამქვეყნიდან.

შეუძლებელია სიტყვა თქვა ცეზარ ლაშხზე და არ გაგახსენდეს დიდი აკაკის საპატივცემლოდ მოწყობილი სახელობითი დღესასწაულები საჩხერეში, სადაც ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყრიდნენ თავს, მუხრანთან გატარებული, პოეზიითა და ლხინით გაბედნიერებული არგვეთული დღეები, რეზო თაბუკაშვილთან ნაზიარები სუფრა ჯრუჭში, კვაშხიეთის ჩამტკბარი შემოდგომის საღამო მურმანთან, ბრწყინვალე არქეოლოგიური კულტურის აღმოჩენის სიხარული მოდინახეზე, საირხეში და კიდევ სხვაგან... ყველაფერში ერია მისი ხელი, ყველგან ისმოდა მისი სახელი და ყველაფერი კარგად დაწყებული მთავრდებოდა სახელოვნად, ანუ ისე, როგორც გვეკადრება ზემოიმერლებს.

სამოცდახუთმეტი წელი ცოტა არაა, მაგრამ ცეზარ ლაშხისთანა ენერგიული ადამიანისთვის ნამდვილად არ მებევრება, მას ჯერ კიდევ აქვს გადაუხდელი ვალი თავისი ქართველობისათვის, იმადაც, რომ სამკალი ბევრია და მომკელი მცირე.

გულით ვუსურვებ ამ კარგ კაცს — არ დაღლილიყოს მისი მარჯვენა და არ დაცლილიყოს მისი სიყვარულის ჭურჭელი.

ელდარ ნადირაძე

ქართულ-ოსური ურთიერთობა

სახალხო დიპლომატიას წინა ხელისუფლების პოლიტიკაზე მეტი ძალა აღმოაჩნდა

რამდენიმე დღის წინათ პირველი არხის ეკა მიშველაძის საავტორო გადაცემა „ღია ეთერში“ საპარლამენტო უმცირესობის მისამართით დაისვა შეკითხვა, თუ რატომ აკრძალა წინა ხელისუფლებამ ერგნეთის ბაზრობა, სადაც გაცხოველებული ვაჭრობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა არა მხოლოდ ორივე „მხარის“ (იგულისხმება ე. წ. სამხრეთ ოსეთი და დანარჩენი საქართველო) მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობას აუმჯობესებდა, არამედ ხელს უწყობდა იძულებით გაყოფილი ქართველებისა და ოსების კვლავ დაახლოებას, მიმოსვლის აღდგენას. ამ კითხვაზე აბსურდული პასუხი გასცა დებატებში მოწვეულმა ნაცების წარმომადგენელმა, პარლამენტარმა მალაშხიამ. მან თქვა, რომ ეს იყო უკანონო ბაზრობა, ყოველივე 200 მლნ ლარი ჯდებოდა და წარმოადგენდა კონტრაბანდისა და კრიმინალთა ბუდეს.

როგორც წარმოშობით ახალგორელი, თბილისში დაბადებულ-გაზრდილი და ამჟამად აქ მცხოვრები გიორგი ჩერტკოშვილი გვიყვება, ეს ბაზრობა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უბრალოდ ადამიანური ურთიერთობების აღდგენის კარგი შესაძლებლობა იყო. იქ, სავაჭროს გარდა, ისეთი შეხვედრებიც ხდებოდა, როდესაც კარგა ხნის უნახავი ნათესავები ხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგანაც საქართველოს მოქალაქეებს, ეროვნებისა და წარმომავლობის მიუხედავად, იქ განსაკუთრებული საშვის გარეშე შესვლა გვეკრძალებოდა. როდესაც ბაზრობა გაუქმდა, სააკაშვილის მთავრობამ პოლიციის ბლოკ-პოსტი გააძლიერა. შეწყდა ეკონომიკური ურთიერთობები, ნათესავების მონახულების შანსები გაქრა, — გვიხსნის ჩვენთან მოსაუბრე და განაგრძობს, — როდესაც ბიძაჩემი საახალწლოდ მოდიოდა, თან მოჰქონდა ჩვენი მამა-პაპის მოწეული ჭირნახული, გამოკვეპილი ღორი და ფრინველი. ხანშესულ კაცს ოჯახისათვის (საკუთარი შვილისა და ჩემთვის) რა დიდი პროდუქტის წამოღება შეეძლო ორი „სუმკით“. პირველი ბლოკ-პოსტი, რუსებ-ოსებისა, უპრობლემოდ გამოიარა. აი, მოადგა თუ არა ჩვენი მხარის საგუშაგოს, სააკაშვილის „რეფორმირებულმა“ და „კორუფციისაგან განთავისუფლებულმა“ პოლიციამ მისი ჩანთების ჩხრეკა დაიწყო. ბოლოს უთხრეს, პროდუქტს ვერ შეგატანინებთ, კონტრაბანდულიაო და ამდენი კილომეტრი ხელით ნათრევი უსიტყვოდ ჩამოართვეს, ისე რომ ჩამორთმევის აქტიც არ გაუფორმებიათ. ბევრი ამტკიცა ბიძაჩემმა, საახალწლოდ მიმქონდა შვილისა და ძმისშვილისთვისო, მაგრამ ვინ დაუჯერა. მეტი დამაჯერებლობისთვის საკუთარი მობილურით ცდილობდა სამართალდამცავების ჩვენთან დაკავშირებას. ძალიან რომ შეაწუხა პოსტის უფროსი, მას უთქვამს, წადი ძიაკაცო, ეს მობილურიც არ ჩამოგართვათო. მოხუცს შეშინებია და უფიქრია, ეგენი ისეთი ვირები არიან, მთლად ნიფხავ-პერანგის ამარა არ გამიშვან სახლშიო და წამოსულა. ასე მოგვადგა ტირილითა და დედის გინებით ცარიელტარიელი ბიძა საახალწლოდ სახლში, — აღშფოთებული გვიყვება ჩვენი რესპონდენტი. მისივე თქმით, ბიძაჩემის შემთხვევა იშვიათი გამონაკლისი რომ ყოფილიყო, კაცი იტყოდა, უსინდისო „ცვლა“ შეხვდაო, მაგრამ მსგავსი ამბები ბევრი მსმენია — გვიყვება გიორგი ჩერტკოშვილი.

სპეციალისტების, ექსპერტების განმარტებით, ერგნეთის ბაზრობა, რომელიც აშკარად ხელს უწყობდა ორი ხალხის იძულებით ჩაწყვეტილი კონტაქტების აღდგენას, აშკარად არ მოსდიოდა თვალში (თვითგამოცხადებული მაშინ მხოლოდ ეს სტატუსი ჰქონდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას, რუსებმა მოგვიანებით მიანიჭეს მას დამოუკიდებლობა) რესპუბლიკის სერაპატისტთა მმართველობასა და რფ რეაქციულ ძალებს. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ, დაბრკოლებები შეექმნათ ხალხების დაახლოებისათვის და კონტაქტების აღდგენისათვის. მაგრამ, რად უნდოდათ ამ საქმეში მიზეზების ძებნა, სააკაშვილი იქ არ ჰყავდათ, — ამტკიცებს სპეციალისტთა ერთი ჯგუფი, — მან ერთი ხელის მოსმით დაკეტა ერგნეთის ბაზრობა, რითაც ხაზი გადაუსვა წლების განმავლობაში რუდუნებით აღდგენილ ურთიერთობებს. იგივე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დღეს მავთულხლართების გაბმა და ე. წ. „ბორდელიზაცია“ იმ მიზეზთა გამოა, რომ ჩრდილოელმა მეზობლებმა შეამჩნია ახალი მთავრობის და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობები ორმხრივი ურთიერთობების აღდგენის გზაზე. რფ და ოსეთის სეპარატისტული მთავრობა ცდილობენ მავთულხლართებით გაწყვიტონ ისედაც არამყიფე ურთიერთობები. ისინი, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, არა ტერიტორიების შემოსაზღვრას ახდენენ, როგორც ამას „ნაცები“ გაჰკივიან (რად უნდათ ტერიტორიის დაფიქსირება, როდესაც კონფლიქტის დროს სულ რაღაც კილომეტრებში იდგნენ თავიანთი ტექნიკით, ჩვენი ჰალსტუხჭამია პრეზიდენტი და მისი ამქარი კი წითელ ხიდზე იდგნენ გასაქცევად გამზადებულნი), მათი მიზანია დაახლოების რაღაც გაჩენილი იმედი დასაწყისშივე ჩაკლან. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ისიც, რომ ქართულ მხარეს დარჩენილთ მავთულხლართებს იქიდან აყურებინებენ, თუ როგორ იხვნება მათთვის ჩამორთმეული მიწები, რათა ორივე მხარეს შური და უნდობლობა დათესონ.

სამოქალაქო დიალოგი გრძელდება

ამჟამინდელი ხელისუფლების გონივრულმა, გამოზომილმა, მომთმენმა პოლიტიკამ და მსგავსი ნაბიჯების გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერამ შედარებით გამოაცოცხლა სახალხო დიპლომატია სამოქალაქო დონეზე. ამან კი უკმაყოფილება გამოიწვია რუსეთის პოლიტიკურ წრეებსა და ოსური სახელმწიფოს სეპარატისტულ მმართველობაში. მათ ეს არც დაუმალავთ და თებერვლის შუა რიცხვებში რფ-სა და კიდევ მხოლოდ 2 სახელმწიფოს მიერ აღიარებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების იუსტიციის მინისტრმა მურატ ვანეევმა სააგენტო „რეს“ განუცხადა, რომ სამხრეთ ოსეთში მოქმედ ყველა არაკომერციული სტრუქტურის ურთიერთობა და თანამშომლობა ქართველ პარტნიორებთან უმართებულო და ამორალურია. ინტერვიუერი ამბობს, კარგი იქნება თუ საკანონმდებლო აქტი შემუშავდება, რომელიც სამხრეთ ოსური და ქართული არაკომერციული ორგანიზაციების თანამშრომლობას შეზღუდავსო. ვანეევს ამის არგუმენტად ის გარემოება მოჰყავს, რომ თუ კი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს, მაშინ არ უნდა არსებობდეს კონტაქტები საზოგადოებრივ დონეზეც, მით უმეტეს, განმარტავს ე. წ. „იუსტიციის მინისტრი“, რომ მის სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს, თუ რის შესახებ საუბრობენ შეხვედრისას და საერთოდ ამ შეხვედრებს რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ.

სააგენტო „რეს“ ხელმძღვანელი მამუკა ყუფარაძე, რომელიც, ამავე დროს, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგების ხშირი მონაწილეა, ამბობს, რომ ვანეევის განცხადებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია თბილისში მოქმედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ოს კოლეგებთან სისტემატურად თანამშრომლობენ. მაგრამ იქვე აღნიშნავს, ეს განცხადება შეხვედრებს ხელს ვერ შეუშლის, მათი ოპტიმიზმის მიზეზი ცხინვალელ სამოქალაქო პირთა გააქტიურებაა, რომლებიც ასევე არიან აქტიურად ჩაბმულნი ქართულ-ოსურ სამოქალაქო დიალოგში. „რეს“ ხელმძღვანელის განცხადებით ცხინვალელები ვანეევის გამოსვლას აბსურდულს უწოდებენ და უკვე აღარც ეშინიათ ამ მოსაზრების ღიად გამოთქმისა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური სახლის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიორგი შაიშმელაშვილი ამბობს, რომ შეუძლებელია დე ფაქტო ხელისუფლებამ იძულებითი მეთოდებით შეაჩეროს დაწყებითი პროცესები. „იუსტიციის მინისტრის“ განცხადების შემდეგ, არც ერთი ქართულ-ოსური შეხვედრა სამოქალაქო რანგში არ ჩაშლილა. „კავკასიის სახლის“ წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ვანეევის განცხადება გაკეთდა მხოლოდ განცხადებისთვის. ის გათვალისწინებული იყო ადგილობრივი ნაციონალურად განწყობილთა და რუსებისათვის.

მამუკა ყუფარაძე ამბობს, რომ, სამწუხაროდ, ყოველი შეხვედრის მონაწილეს ცხინვალში დაბრუნების შემდეგ ადგილობრივი ხელისუფალნი პრობლემებს უქმნიან, როგორც ეს ამას წინათ აშშ-ში, ჯორჯ მეისონის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ქართულ-ოსური საზოგადოების შეხვედრის მონაწილეთ შეუქმნეს ცხინვალში, მიუხედავად ამისა, ცხინვალელები აქტიურად მონაწილეობენ სტამბოლში მიმდინარე ანალოგიურ შეხვედრაში. სააგენტო „რეს“-ს ხელმძღვანელი მომავლის გეგმებზეც საუბრობს. მისი თქმით, დაგეგმილია მორიგი შეხვედრა, რომლის მონაწილეებმაც აპრილში ევროპის ქვეყნებში უნდა წაიყვანონ ცხინვალელ ბავშვებთან ერთად საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მათი თანატოლები. ყველა დიალოგში ჩართული არასამთავრობო აცხადებს, რომ მიუხედავად წნეხისა, ზეწოლისა, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ვერ შესძლებს დაძრულის შეჩერებას, რადგანაც ადგილობრივებისთვის ეს იქნება კატასტროფა. ისინი ხომ მნიშვნელოვანწილად არიან დაკავშირებულნი საქართველოსთან და ქართველ საზოგადოებასთან, ასკვნიან ენჯეოები.

როგორც სპეციალისტები და ექსპერტები ამბობენ, სამოქალაქო-სახალხო დიპლომატიას ბევრად მეტი ძალა და მოქნილობა აღმოაჩნდა, ვიდრე ეს წინა ხელისუფლებას ჰქონდა თავის არსენალში.

ზაზა ბილიხოძე

◎ საბანკო სფერო

სესხის ხაფანგი,

ანუ როდის მოვიშორებთ ბანკების მიერ ჩვენთვის თავს მოხვეულ „მონათ-მფლობელურ“ მუხლებს?

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უწინარესად, ყოველდღიურ ყოფაში, ფულის ქონა-არქონას გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ აქვს, ამას დამტკიცება არ სჭირდება. **ამიტომაცაა, რომ მოსახლეობა სესხის ასაღებად სწორედ იმათ მიმართავს, ვისაც ფული სწორედ ამ მიზნისთვის აქვთ თავმოყრილი – სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება-გასაგრძელებლად იქნება ეს საჭირო, საცხოვრისის შესაძენად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თუ რაიმე სხვა მიზნით. ამიტომაცაა, რომ ბანკები ყველგან სარფიანად, წარმატებულად მოღვაწეობენ, თუმცა კი, რაღა თქმა უნდა, უამრავია მათი სხვადასხვა მიზეზით გაკოტრების მაგალითები, რომელთა განხილვა წინამდებარე მასალის თემა არ გახლავთ.**

ცივილიზებულ სამყაროში ყველა სახეობის მომსახურების სფეროში ერთი დევიზია მიღებული –კლიენტის ნება კანონია, მომსახურება მასზე უნდა იყოს მორგებული, და არა პირიქით. სამამულო საბანკო სფეროში კი ყველაფერი ისეა, როგორც ცნობილი ვენეციელი მხატვრის ჯოვანი ბელინის ფერწერულ ტილოზე „ტყუილის ალეგორიაზე“ – სიცრუე თავდაყირაა გამოსახული. სწორედ ასეთი, თავდაყირა ადვილად დასაყენებელი პირობებით ურთიერთობენ ჩვენებური კომბანკები კლიენტებთან შესაბამისი ხელშეკრულებებით, რომლებსაც ხშირად საკუთარ ინტერესებში ბოროტადაც იყენებენ.

ვისაც კი ბანკებთან გარკვეული სერიოზული ურთიერთობები ჰქონია, აუცილებლად სათანადო ხელშეკრულებებიც ექნება გაფორმებული, ამიტომაც ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ეს ხელშეკრულებები უფრო ბატონისა და ყმის ურთიერთობას ჰგავს, ვიდრე თანასწორუფლებიან გამრიგებელთა შეთანხმებას. ხაფანგიც სწორედ აქაა დაგებული. არადა, მსესხებლები კრედიტს ისეთი ვალდებულებების შესრულებით იღებენ, რომლებზეც არა თუ წარმოდგენაც არ აქვთ, ზოგიერთი მათგანი თავდაპირველად დადებულ ხელშეკრულებაში საერთოდ ნახსენები არ არის! **ქვეყნის უკლებლივ ყველა კომბანკში, ფაქტობრივად, სხვადასხვა ფორმით მოწოდებულ ერთსა და იმავე სტანდარტულ ხელშეკრულებებს აფორმებენ, რომელთა მიხედვით ბანკებს თითქმის ყველაფრის უფლება აქვთ, მათ შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავდაპირველი ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელიც, მომხმარებელს კი მხოლოდ ვალდებულებები ეკისრება. დღესდღეობით, როცა კაცი ბანკთან ხელშეკრულებას აფორმებს, ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნულზე მეტი ვალდებულების შესრულებას კისრულობს. ყველა კომბანკს ამ სტანდარტულ დოკუმენტში ჩადებული აქვს მუხლი, რომლის თანახმად, ნებისმიერ დროს, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ხელშეკრულების პირობების შეცვლა ანდა მასში დამატებითი მოთხოვნების შეტანა შეუძლია.**

იქნებ ვინმემ განმარტოს, ბატონყმობა მეტი კიდევ რაა?

ზემოთქმულის დასადასტურებლად რამდენიმე კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შეიძლება სხვადასხვა ბანკის სტანდარტული ხელშეკრულებებიდან. კერძოდ, ზრახვების გაუმხელავად „საქართველოს ბანკი“ ასე აფრთხილებს კლიენტებს: **„ბანკს უფლება აქვს, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები; შეცვალოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით დადგენილი საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ანდა პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში“** (სიმართლე გითხრათ, კონტექსტიდან გამომდინარე, თუ რას ნიშნავს სიტყვები უბრალო მოკვდავთა ენაზე „ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში“, ამის ახსნა ნამდვილად არ შეგვიძლია).

არსებითად ასეთივეა „თიბისი ბანკის“ სტანდარტული ხელშეკრულება: **„ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების პირობები, მახასიათებლები ანდა საფასური (ბანკის მიერ დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში)“.** აქ, ვთქვათ აზრი, „დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში“ კია გასაგები, მაგრამ ისმება კითხვა: **კი ბატონო, თქვენ ტარიფი გაზარდეთ, მაგრამ მე ხომ ადრე სხვა ტარიფზე შეგითანხმდით, რა უფლების ძალით მიმძიმებთ მოცემული ვალდებულების შესრულების პირობით, თუნდაც ორი კვირით ადრე?** ამას, ვთქვათ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მცირე მოცულობის სესხის პირობებში, მაგრამ, როცა საქმე მილიონებს ეხება, რომლებიც მსესხებელს გაცილებით უფრო ძვირად ღირებული უძრავი ქონების დაგირავების საფასურად აქვს აღებული, განა ეს მუხლი, მისი არაკეთილსინდისიერად გამოყენებისას, კლიენტის გასაძარცვად „მიწვევის“ ტოლფასის წინაპირობა არ არის?! ასეთივე შინაარსის მუხლები ხომ სესხის დაბრუნების ვადების გადმოწევასაც ეხება!

ამიტომაც, ბანკებთან სერიოზული ურთიერთობების დამყარების შემთხვევაში, როცა ლაპარაკია მნიშვნელოვან თანხებსა და ძვირად ღირებულ ქონებაზე, მომხმარებელმა აუცილებლად უნდა მოითხოვოს მისთვის მიუღებელი მუხლების ხელშეკრულების ტექსტიდან ამოღება, მისი „სტანდარტულობის“ მიუხედავად. მისი ეს უფლება სრულიად კანონიერია, ვინაიდან ამის გაკეთების შესაძლებლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აძლევს, სადაც, კერძოდ, მითითებულია, რომ **„თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე... მას არ შეუძლია კონტრაგენტს (ხელშეკრულების ხელმომწერ მეორე მხარეს) უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები“** (319-ე მუხლის II ნაწილი).

მართალია, თუკი მსესხებელი მიიჩნევს, რომ ბანკმა იგი მოატყუა, ან დააზარალა, მას ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია, თუმცა ეს გზა, მოგეხსენებათ, თან გრძელია, თან ხარჯიანი, თანაც ყოველთვისაა იმის ეჭვი, რომ ის კაცს „ტაძრამდე არ მიიყვანს“. **ამიტომ გამოსავალი ჯერჯერობით ისაა, რომ ბანკის მხრიდან ასე ვთქვათ „არაკორექტული მოპყრობის“ საშიშროების შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან „მონათმფლობელური“ მუხლები ამოაღებინოს.**

მაგრამ, ჩვენი აზრით, გაცილებით ქმედითი ამ სფეროში საკანონმდებლო მკაფიო რეგულაციების შემოღება იქნება, რომლებშიც კლიენტების უფლებები დაცული იქნება, ბანკები კი მათთან ურთიერთობისას დამკვიდრებული საერთაშორისო ნორმებით იხელმძღვანელებენ, რაც, სხვათა შორის, კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოდან 908 მილიონი დოლარის კაპიტალი გავიდა

ქვეყნიდან კაპიტალის გადინების მაჩვენებელი შემოსულ ინვესტიციებს უახლოვდება. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2013 წელს სულ 1,822 მილიარდი დოლარის ინვესტიციის შემოსვლა აღრიცხა. ამ დროს საქართველოდან 908 მილიონი დოლარის კაპიტალი გავიდა. შესაბამისად, ამ გათვლით, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 914 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამის მიზეზი ისაა, რომ არჩევნების შემდეგ ინვესტორები ფრთხილობდნენ და დაზღვევის მიზნით გარკვეული რაოდენობის კაპიტალი ქვეყნიდან გაიტანეს. 908 მილიონი დოლარიდან ყველაზე მეტი კაპიტალის გადინება კვიპროსში მოხდა, შემდეგ – საუდის არაბეთსა და ვირჯინიის კუნძულებზე. შესაბამისად, ეს მაჩვენებელიც მიუთითებს, რომ წინა მთავრობის დროს კაპიტალს პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა.

For.ge-სთან საუბარში ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გიორგი აბაშიშვილი აცხადებს, რომ ნებისმიერი კაპიტალის დანაკარგი ჩვენისთანა ქვეყნისთვის სამწუხაროა, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, რეალურად საქართველოში წლების განმავლობაში ვერ ჩამოყალიბდა მდგრადი საბაზრო ეკონომიკური სტრუქტურა, სადაც კაპიტალი პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალი იქნებოდა.

„არსებობდა გარკვეული ტიპის კაპიტალი, რომელიც პოლიტიკური მფარველობის პირობებში თავს უფრო კარგად გრძნობდა წინა ხელისუფლების პირობებში. შესაძლოა, ამ ტიპის კაპიტალი ველარ გრძნობს კომფორტულად თავს ახალი ხელისუფლების პირობებში, ან ყოველი შემთხვევისთვის, რისკს აზღვევს იმით, რომ ქვეყნის გარეთ გადის. ამას ადასტურებს ოფშორებში დიდი რაოდენობით გასული კაპიტალი, სადაც სრული კონფიდენციალურობაა დაცული, როგორც კაპიტალის წარმომავლობაზე, ისე მის არსებობასა და ოდენობაზე. მიმაჩნია, რომ ეს არის ჯერ კიდევ იმ გარდამავალი პერიოდის ინერცია, რომელიც საქართველოში უკავშირდება ხელისუფლების ცვლილებას. ბუნებრივია, კაპიტალი ერთ დღეში ვერ გავა და მას მთელი რიგი პროცედურები სჭირდება. მაინც მგონია, რომ, საბოლოო ჯამში, კაპიტალის გადინების მსგავსი მაჩვენებელი შემდგომ წლებში აღარ გვექნება, ხოლო, თუკი ეს ტენდენციის სახეს მიიღებს, მაშინ ძალზე დამაფიქრებელი იქნება და სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, რა სჭირს საქართველოში საინვესტიციო გარემოს“, – აღნიშნა გიორგი აბაშიშვილმა.

ამასთან, ხელისუფლებას ურჩია, მაქსიმალური აქცენტი გააკეთოს ქვეყანაში ბიზნესის, პოლიტიკური გარემოს უფრო მეტ სტაბილურობაზე. მისი აზრით, სამართლიანობის აღდგენის მისტიკური იდეა, საბოლოო ჯამში, არათუ სამართალიანობის აღდგენას შეუწყობს ხელს, არამედ კაპიტალისთვის არასტაბილური გარემოს განცდის შექმნას. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს უცხოელი ინვესტორები და ადგილობრივი ბიზნესმენები, რომ ქვეყანაში ყველაფერი კანონის ფარგლები იქნება და ბიზნესგარემო, კერძო საკუთრება, კონკურენცია ხელშეუხებელი და დაცული იქნება.

For.ge-სთან საუბარში ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძე საქართველოდან 908 მილიონი დოლარის კაპიტალის გადინებას მეწარმეობისთვის არასაკმარისად კომფორტული გარემოს შექმნას უკავშირებს.

მისი თქმით, ძირითადად ოფშორებზეა საუბარი, ამიტომ აქ საკმაოდ ბუნდოვანი წარმომავლობის კაპიტალი გავიდა. დიდი ალბათობით, კვიპროსზე, ალბათ, უფრო რუსული წარმოშობის კაპიტალი გავიდოდა, საუდის არაბეთთან დაკავშირებით შეიძლება თვითონ არაბებიც იყვნენ, ხოლო ვირჯინიის კუნძულები შეიძლება შერეული ძალებით იყო წარმოდგენილი.

პაატა შეშელიძის თქმით, კონკრეტული პარალელის გავლება რთულია, მაგრამ თუნდაც იმავე რუსეთის ვითარებას თუ დავაკვირდებით, როცა მოხდა კონფლიქტი, ყირიმის აღიარება და ამას დაერთო სანქციები, ამან გამოიწვევა, რომ რუსეთი უკვე ძლიერი აღარ არის, ყველა ელოდება ან ომს, ან ეკონომიკურ ბლოკადას. შესაბამისად, საფონდო ინდექსი ამ ქვეყანაში დაეცა. ეს მოხდა იმიტომაც, რომ ძალიან ბევრმა ქვეყნიდან თანხები გაიტანა.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

აპროტესტებენ ციხეებში პატიმართა გარდაცვალების ფაქტებს

ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ სასჯელაღსრულების სამინისტროს ყოფილ შენობასთან გუშინ აქცია გამართა, ლოზუნგით „როდემდე“. აქციაში ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის 6 წევრი იღებდა მონაწილეობას. მათ მდუმარე აქცია გამართეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლექსო კობაიძემ განაცხადა, პენიტენციურ სისტემაში ადგილი აქვს სუიციდის ფაქტებს. კობაიძის თქმით, გეგუთში, 23 მარტს მომხდარი ფაქტი პირველი შემთხვევა არ არის. მისივე თქმით, კითხვები არსებობს რა გარემოა შექმნილი ციხეებში და რატომ იკლავენ პატიმრები თავს.

ლექსო კობაიძის განცხადებით, არასამთავრობოებს სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგის საშუალება არ აქვთ. მან სასჯელაღსრულების სამინისტროს „სუბარის კანტორა“ უწოდა და აღნიშნა, რომ პატიმართა პრობლემებს სამინისტრო ვერ აგვარებს.

კობაიძემ სოზარ სუბარს მოუწოდა ქმედითი ნაბიჯები გადადგას და თუ მას ეს არ შეუძლია, თანამდებობიდან გადადგეს.

კობაიძე ასევე გამოეხმაურა სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის განცხადებას პენიტენციურ სისტემაში გარდაცვლილ პატიმართა სტატისტიკასთან დაკავშირებით. კობაიძის თქმით, უჩა ნანუაშვილი ხელისუფლებას „ლეღვის ფოთოლივით არის აფარებული“, თითქოს პენიტენციურ სისტემაში არაფერი ხდება და წინა წლებთან შედარებით პენიტენციურ სისტემაში უფრო ნაკლები პატიმარი იღუპება.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო თავის სამხედრო დოქტრინას რუსეთთან კონფლიქტის გაკვეთილებით გაამდიდრებს

საექსპერტო კომისიამ საქართველოს გენერალურ შტაბთან დაასრულა იმ მასალების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველო-რუსეთის შეიარაღებულ კონფლიქტთან 2008 წელს სამხრეთი ოსეთის გარშემო. მონაცემების ნაწილი, რომლებიც არ არის მიჩნეული საიდუმლოდ, წარედგინება საზოგადოებრიობას ამ გაზაფხულზე, განუცხადეს ჩვენს გაზეთს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

კომისიის მუშაობა ინიციირებული იყო თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიერ ერთ წელზე მეტი ხნის წინათ. **„არ უნდა გვეშინოდეს შეცდომების აღიარებისა, მათზე უნდა ვისწავლოთ“,** — განაცხადა სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა. ექსპერტების ანალიტიკური მოხსენებების საფუძველზე „გამდიდრდება სამხედრო დოქტრინა“, გვაცნობა ალასანიამ.

მისი „გამდიდრების“ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაციას. ამას გარდა, თავდაცვის მინისტრის სიტყვებით, საქართველოს არმიას ამიერიდან არ აქვს განზრახული განახორციელოს შეტევითი ოპერაციები, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვისაც. შეიარაღებული ძალები შეასრულებენ თავშეკავებითს როლს პოტენციურ მტრებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მასალებს სამხრეთ ოსეთში კონფლიქტთან დაკავშირებით, ჩვენი გაზეთის წყაროების მონაცემებით, მათი შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა შეუსრულებელი ბრძანებების და აუცილებელი პროცედურების მიზეზებს, შეცდომებს სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციაში კონფლიქტის ზონაში, აგრეთვე ჩავარდნებს სამობილიზაციო მუშაობასა და რეზერვის მომზადებაში.

მაგრამ მთავარი, რის შესახებაც სამხედროები საუბრობენ, ეს არის ის, თუ რამდენად აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ყოფილი პოლიტიკური ხელმძღვანელობა 2008 წელს ოპერატიულ გადაწყვეტილებათა მიღებაში. არის ეჭვი, რომ არა მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდალი, არამედ მმართველი პარტიის მთელი ხელმძღვანელობა

თბილისი აღარ განახორციელებს შეტევით ოპერაციებს, სამხედრო ექსპერტების კვალდაკვალ კი სამხრეთ ოსეთში ომის შესწავლას მკვლევარები დაიწყებენ

ერთვებოდა სამხრეთი ოსეთის ჯარების მეთაურობაში. მათ შორის, ვინც გავლენას ახდენდა სამხედროების გადაწყვეტილებებზე, ასახელებენ თბილისის მაშინდელ მერს გიორგი უგულავას, აგრეთვე რამდენიმე ყველაზე ავტორიტეტულ დეპუტატ — „ნაციონალს“. მათ შორის, სხვათა შორის, არის ამჟამად რუსეთის მიერ ძებნილი „ბოლოტნაიას საქმესთან“ დაკავშირებით გიორგი თარგამაძე.

სამხრეთი ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით საანგარიშო წერტილად მიჩნეულია ამ რეგიონში ქართველი მშვიდობისმყოფელების სარდლის მამუკა ყურაშვილის განცხადება „კონსტიტუციური წესრიგისა და კანონიერების აღდგენის დაწყების“ შესახებ. პროფესიული სამხედროები დარწმუნებული არიან, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობის განკარგულების გარეშე გენერალს ასეთი ბრძანების გაცემა არ შეეძლო.

ამას გარდა, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას განზრახული აქვს, გამოარკვიოს, რამდენად ეფექტიანად დაიხარჯა ასიგნებანი სამხედრო საჭიროებისთვის, რომელსაც გამოყოფდა ბიუჯეტი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და 2008 წლის კონფლიქტამდე. ეს კი 3 მილიარდ დოლარზე მეტია, რაც საქართველოსთვის ძალიან ბევრია.

— ამ ომის ვითარებათა შესწავლის მთავარი გაკვეთილი უნდა იყოს სწორედ აკრძალვა პოლიტიკოსებისთვის — ჩაერთონ სამხედროების საქმეში, — მიაჩნია საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს. — ოპერაციის დასაწყისი 2008 წელს აშკარად პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, და არ იქნებოდა ურიგო ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაც ამისთვის.

საქართველოში კარგად ახსოვთ, რომ იმ აგვისტოს დღეებში კონფლიქტის ზონაში სამხედროების გვერდით იყვნენ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები. თავად საქართველოს ექსხელმძღვანელი, რომელიც ამჟამად სამშობლოს ფარგლებს გარეთაა, გამოძახებულია დაკითხვაზე მთავარ პროკურატურაში 27 მარტისთვის მოწმის სახით 10 რეზონანსულ გამოძიებასთან დაკავშირებით. და მართალია, მათ შორის არ არის საქმეები 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ორშაბათს განაცხადა, რომ „აუცილებელია, დაიწყოს აგვისტოს ომის ვითარების გამოძიება — როგორ მიმდინარეობდა სამხედრო მოქმედებები, ვინაა პასუხისმგებელი ბრძანებისთვის“. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ იმ პერიოდში „იყო ძალიან ბევრი დანაშაული, დარღვევა და ყველა კითხვაზე პასუხი უნდა იქნეს გაცემული“.

2008 წლის მოვლენებამდე საქართველოს სამხედრო დოქტრინა არ განიხილავდა რუსეთს, როგორც თავისი უშიშროების საფრთხეს. შემდეგ დოკუმენტში უკვე შეჰქონდა კორექტივები წინა ხელისუფლებას, რომელიც ხელახლა აფასებდა ჩრდილოელი მეზობლის ფაქტორს.

2008 წლის ომიდან რამდენიმე თვის შემდეგ საპარლამენტო კომისიამ დაიწყო კონფლიქტის ვითარებათა შესწავლა. მაგრამ დეპუტატების მუშაობა უფრო პროპაგანდისტულ აქციას ჰგავდა. მისი შედეგების მიხედვით ქართველმა ჩინოვნიკებმა, ვისაც აკრიტიკებდნენ, მხოლოდ სამსახურის ადგილები შეიცვალეს: ეროვნული უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი გახდა გაეროსთან მუდმივი წარმომადგენელი, გენერალური შტაბის უფროსი კი — სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ვიეტნამმა გადაწყვიტა, შეისყიდოს ისრაელის ავტომატები, ვინაიდან ისინი რუსულზე უფრო იაფია

„წებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება, აარჩიოს იარაღი არა მხოლოდ ხარისხის, არამედ ფასის მიხედვითაც“, —აღნიშნა „როსობორონექსპორტის“ გენერალურმა დირექტორმა ანატოლი ისაიკინმა. მისი სიტყვებით, გაიმარჯვა ისრაელის მწარმოებელმა, როდესაც მინიმალური ფასი წარმოადგინა.

* * *

ვაშინგტონის შტატში ზვავის მსხვერალთა რიცხვი 24 კაცამდე გაიზარდა. განისაზღვრა კიდევ 8 დაღუპულის ადგილი

უგზო-უკვლოდ დაკარგულებად კვლავინდებურად 176 კაცი ითვლება. „მწამს სასწაულების. დარწმუნებული ვარ, რომ მომხდარის შემდეგ ხალხი შეიძლება გადარჩენილიყო“, — განაცხადა ოლქის საგანგებო სიტუაციათა დირექტორმა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მოუწოდა ყველა ამერიკელს, ილოცონ ვაშინგტონის შტატისთვის.

* * *

თავის სიტყვაში ყირიმში სიტუაციასთან დაკავშირებით ობამამ გააფრთხილა რუსეთის ფედერაციანატოს წესდების დარღვევასთან დაკავშირებით

ნატომ უკვე დაიწყო მოლაპარაკება უკრაინასთან დახმარების გაწევის შესახებ მისი საზღვრების დაცვაში. უკრაინის თემა იქნება მთავარი ანდერს ფოგ რასმუსენსა და ობამას მოლაპარაკებაში 26 მარტს. რუსეთის ფედერაციის მკაცრ კრიტიკას შეუერთდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ანგელა მერკელი.

* * *

უკრაინის დელეგატი ევროსაბჭოს სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ყირიმისადმი, გამოცხადდა ფეხბურთელის მაისურით, რომელზეც იყო წარწერა „PUTIN-HITLER“

უკრაინის წარმომადგენლის ალექსეი გონჩარენკოს ტანსაცმელმა, ისევე როგორც მისმა სიტყვამ, რომელშიც რუსეთის ფედერაციისთვის ყირიმის მიერთება შედარებული იყო ავსტრიის ანშლიუსთან, გამოიწვია რუსეთის დელეგაციის უკმაყოფილება. მაგრამ, გონჩარენკოს სიტყვებით, სხდომის შედეგებით ევროპამ დაგმო რუსეთის მოქმედებები ყირიმში.

* * *

აშშ და სამხრეთი კორეა დაემუქრნენ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას საპასუხო ზომებით რაკეტების გაშვებასთან დაკავშირებით

ვაშინგტონში განაცხადეს, რომ ორი ბალისტიკური რაკეტის გაშვებას, რომლებიც წარმოებულია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აფასებენ, როგორც პროვოკაციას. სეულში შეახსენეს, რომ ფხენიანის მოქმედებები არღვევენ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას და ზრდიან დაძაბულობას კორეის ნახევარკუნძულზე.

* * *

ჩეხეთის პარლამენტმა ხმა მისცა რუსეთისადმი ეკონომიკური სანქციების გამოყენების წინააღმდეგ

პარლამენტარებმა ასევე გამოთქვეს აზრი ჩეხეთის არმიის დაფინანსების გაზრდის წინააღმდეგ. ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა კი გააკრიტიკა სანქციების პოლიტიკა მოსკოვთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ „ყირიმი არასოდეს ყოფილა უკრაინის ნაწილი“.

◎ საოჯახო ალბომი

„როდესაც ჩვენგან მიდის ისეთი პიროვნება, როგორიც იყო რეზო თაბუკაშვილი, საზოგადოება ღარიბდება“, – ეს სიტყვები მიხეილ თუმანიშვილს ეკუთვნის. მართლაც, ეს იყო პიროვნება, მდიდარი სულიერი სამყაროთი, სამშობლოს ბედით დაღდასმული და სამშობლოზე მოფიქრალი... ვისი ცხოვრებაც და განვლილი გზაც ზნეობრივი მაგალითია მომავალი თაობებისთვის.

1949 წელს დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი. მისი ლექსები და თარგმანები იბეჭდებოდა 40-იანი წლებიდან. ავტორია პიესებისა: „ამხანაგი გიორგი“ (იგივე „რაიკომის მდივანი“, დაიდგა 1953 წელს მარჯანიშვილის თეატრში), „რას იტყვის ხალხი“, „ედინბურგის ზარი“, „დაბადება“ და სხვ. დაწერა კინოსცენარები ფილმებისათვის: „წარსული ზაფხული“, „ჯვარცმული კუნძული“, „მზე შემოდგომისა“, „რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან“, აგრეთვე ლიბრეტოები ოპერებისათვის: „მინდია“ (კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი), „ქაჯანა“ (კომპოზიტორი მ. დავითაშვილი) და სხვ.

ოჯახთან

იგი თანდათან თავისი ფილმების გმირებს დაემსგავსა...

ნოდარ დუმბაძე, გოგიტა მაჭარაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი და რეზო თაბუკაშვილი

ცნობილი კინემატოგრაფი, მწერალი, პოეტი მთარგმნელი, პუბლიცისტი, დრამატურგი და გამორჩეული საზოგადო მოღვაწე იყო. შექსპირის სონეტები, რომელთა თარგმნას 30 წელი შეალია, სამუდამოდ შევიდა ქართული მწერლობის საგანძურში.

თამაზ ჩხენკელი: „კარგად მახსოვს 1948 წლის ოქტომბრის ერთი საღამო, როცა მწერალთა სასახლის ხალხით გაჭედილ დარბაზში შექსპირის სონეტების ახალ თარგმანს კითხულობდა რეზო თაბუკაშვილი. კითხვას ქართული მწერლობის ბევრი გამოჩენილი წარმომადგენელი, მათ შორის გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონი ესწრებოდა. დაგვიანებით მოსული გალაკტიონი საღამოს დამთავრებამდე დარბაზის ღია კარებთან იდგა და გულისყურით უსმენდა ჭაბუკ ორატორს, რომელიც დიდი ხელოვნებით კითხულობდა თავის თარგმანებს“.

ასი სონეტის გამოქვეყნების შემდეგ კრიტიკამ ერთხმად აღნიშნა შექსპირის სონეტების ახალი ქართული წაკითხვა, რაც წარმოუდგენელია ამ რთულ ნაწარმოებთა ჯეროვანი შესწავლის გარეშე.

დიდია რეზო თაბუკაშვილის დამსახურება ქართველი ემიგრანტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევის საქმეში. უცხოეთში გადახვეწილი ცნობილი ეროვნული მოღვაწეების კვალის ძიებას მან დოკუმენტურ ფილმთა ციკლი მიუძღვნა. მათ შორისაა ფილმები: „კვალი ნათელი“, მიხეილ თამარაშვილის შესახებ, რომლის საფლავს რეზო თაბუკაშვილმა 1978 წელს იტალიაში მიაკვლია, ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ (1985), რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და ქართული საგანძურის გადასარჩენად გაწეულ ღვაწლს ეხება და სხვ.

მან გააცოცხლა და განსხვავებულად დაგვანახა ის პიროვნებები, რომლებიც ბედის უკუღმართობამ სამშობლოს დააცილა. მისი 12 დოკუმენტური ფილმი სამართლიანად ითვლება ახალი ჟანრის დამამკვიდრებლად კინემატოგრაფიაში.

იგი მოსკოვის პრესტიჟულ საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუში სწავლობდა, მაგრამ დიპლომატიურ კარიერაზე უარი თქვა. აი, რას წერდა მასზე დევი სტურუა: „რეზო ბრწყინვალე დიპლომატი იქნებოდა, მაგრამ მან უარი თქვა დიპლომატიურ კარიერაზე... ის ბუნებით შემოქმედი კაცი იყო და ყველაზე ძვირად თავისუფლება უღირდა“.

20 წელი მოანდომა ჰოლანდიაში კუნძულ ტექსელზე ქართული ბატალიონის გმირული და ტრაგიკული ამბოხების შესწავლას. სწორედ მისი წყალობით მოხდა ქართველი გმირების ზნეობრივი და იურიდიული რეაბილიტაცია.

მედეა ჯაფარიძე: „როცა ჰოლანდიაში იყო, იქ დაღუპულ ჩვენს ქართველ ბიჭებზე იღებდა სურათს, უკანასკნელი კაპიკები გადაიხადა რაღაც დოკუმენტების გაფორმებაში. ერთი კვირა აბსოლუტურად მშიერს უვლია და ერთხელ ერთ სასადილოსთან, საიდანაც საჭმლის სუნი გამოდიოდა, გული წასვლია, ვიღაც ღვთისნიერ გამვლელს დიაბეტით დაავადებული ჰგონებია და პირში შოკოლადი ჩაუდია... რომელი ერთი შეიძლება გაიხსენო“...

ოპერატორი **იური ბარამიძე,** ვინც მას 12-ივე ქვეყანაში ახლდა, იხსენებს, რომ თითო წასვლა რამდენიმე წლის სიცოცხლედ უჯდებოდა. რეზო თაბუკაშვილი, ძირითადად, თავისი ხარჯით მიდიოდა საზღვარგარეთ. „პარტიზანებივით ვიღებდით. ფული ჩვენ არ გვქონა და გადაღების უფლება. ასეა გადაღებული ყველა ჩვენი ფილმი“...

ლაშა თაბუკაშვილის თქმით, ხელისუფლება იდიოტურ მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგან მამა არაფერს უთანხმებდა. ყველა ფილმი აკრძალულ ადამიანებზე იყო – თამარაშვილზე, თარხნიშვილზე, თაყაიშვილზე, ხარისჭირაშვილზე, კიტა ჩხენკელზე და მრავალ სხვაზე. „ამიტომ ყოველი წასვლის წინ ამბობდა, შეიძლება ეს ბოლო შანსი იყოსო. როდესაც თან ვახლდი, მეც კი დაბნეული და გაოცებული ვიყავი მისი დიპლომატიური და პიროვნული ნიჭით. იყო უიმედობაც და ბევრი გულისტკივილიც. ერთ კაცს მამამ ხელიც კი გაარტყა, იმის გამო, რომ უთხრა – აუ, რას დაგრიალებ საზღვარგარეთო!

საერთოდ, როცა ასეთ ადამიანთა ცხოვრებას ასახავ, როგორებზეც მამა იღებდა ფილმებს, იქ შენი ხვედრის გაიოლება არ შეიძლება. ამიტომაც ბევრი ამბობდა, რომ მამა უკვე თავისი ფილმების გმირებს დაემსგავსა. თავად ჩრდილში ყოფნას არჩევდა. მისთვის მთავარი საქმის შედეგი იყო“... ოთახში, სადაც ის მუშაობდა, ჰქონდა იმ ადამიანთა ფოტოები, ვისზეც ფილმებს იღებდა. მათ ბიოგრაფიაში იძირებოდა, მათი ცხოვრებით და ხვედრით ცხოვრობდა...

ბოლოს სურდა გრიგოლ ფერაძის, გაბრიელ ეპისკოპოსისა და ქეთევან წამებულის ღვაწლის ამსახველი ტრილოგიის გადაღება, მაგრამ ვეღარ მოასწრო...

რევაზი იყო მამულიშვილი და ჭეშმარიტი ქრისტიანი, – ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ** რევაზ თაბუკაშვილის დაკრძალვაზე

„ეს ოჯახი იყო ქართული კულტურის ერთერთი კერა, რომელმაც, ვინ მოთვლის, რამდენი უცხოელი საქართველოს მეგობრად აქცია. ასევე ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი სიყვარულით გამთბარი ტოვებდა ამ ოჯახს, კვლავ აქ დაბრუნების სურვილით“, – ეს სიტყვები კი **ელდარ შენგელაიამ** 1994 წლის 5 აპრილს დიდუბეში, მედეა ჯაფარიძის დაკრძალვის დღეს წარმოთქვა.

ყველაზე უკეთ კი რეზო თაბუკაშვილის მრწამსი შვილიშვილებისადმი მიძღვნილმა მისმა ლექსმა გამოხატა. ეს ლექსი რეზო თაბუკაშვილმა გარდაცვალებამდე 2 დღით ადრე დაწერა და შვილიშვილებს: რეზო და ბომბო თაბუკაშვილებს მიუძღვნა.

„მშვიდობას ვეტყვი, მალე ქართულ
ზეცის საფირონს,
და მცირე ტალღად შევერწყმები ზღვას
უნაპიროს.
ქარს, იმქვეყნიურს დავუხვედრებ,
მალე, წინ აფრას;
დიდებულია! გარდვიქცევი მალე წინაპრად.
და თუმცა, ჩემი გამგზავრება ჰგავდა
წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ
გარდაცვალებას,
მე წავალ, რადგან დრო არა მაქვს
უკვე არჩევნის,
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ
თქვენთან დავრჩები.
მეც გიმეგზურებთ, ცხოვრების გზას
როცა გაჰყვებით,
მე დაგინახავთ, მაგრამ ვეღარ დაგენახვებით.
მე არასოდეს არ ვიქნები თქვენთან მოდავე,
სამშობლო თქვენი, თუ არასდროს
არ იცოტავეთ,
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან
თქვენთან არა ვარ,
თუ სარბიელად საქართველო გეპატარავათ.
დამარცხებულნიც არასოდეს ჩანდეთ
საბრალოდ,
ვინმეს სიგლახე, კაცთა მოდგმას
არ დააბრალოთ.
მშვიდი გექნებათ სიყმაწვილე, მერე სიბერე,
სხვათა მიღწევით, სიხარული
თუ გაიბევრეთ“.

მერი შერვაშიძესთან

მარჩელო მასტროიანთან

პუბლიკაცია მაგთის ჟურნალის „მუდმივი კავშირის სამყაროს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით და „ნეოსტუდიას“ თანხმობით მოამზადა **თამარ შაიშმელაშვილმა**

◎ ალიან-ჩალიანი

გარდაცვლილი პატიმრის საქმე გახსნილია

მთავარმა პროკურატურამ გარდაცვლილი პატიმრის გიგა ფარტენაძის საქმე გახსნა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 2014 წლის 4 მარტს, სასჯელაღსრულების №14 დაწესებულებაში პატიმრის გიგა ფარტენაძის გარდაცვალების ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმე გახსნილია.

პროკურატურამ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო შოთა შანიძის, ლევან მოისწრაფიშვილის და გიორგი სეხნიაშვილის მიმართ.

პროკურატურის ცნობით, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით 02:20 საათზე, სად-ის №14 დაწესებულების მეექვსე სარეჟიმო კორპუსის №322 საკანში განთავსებულ მსჯავრდებულებს - შოთა შანიძეს, ლევან მოისწრაფიშვილს, გიორგი სეხნიაშვილსა და გიგა ფარტენაძეს შორის არსებული სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

— შოთა შანიძემ, გიორგი სეხნიაშვილმა და ლევან მოისწრაფიშვილმა გიგა ფარტენაძე იატაკზე წააქციეს, რა დროსაც მან გონება დაკარგა და წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებდნენ მის მიმართ სასტიკ ძალადობას, კერძოდ გულმკერდის, კისრისა და სახის არეში ხელებითა და ფეხებით სცემდნენ და ბეტონის იატაკზე არტყმევინებდნენ თავს. აღნიშნული ქმედება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ იქნა აღკვეთილი, რა დროსაც გიგა ფარტენაძე გადაყვანილი იქნა №14 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, სადაც გაწეული დახმარების მიუხედავად, იგი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა, — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილია, რომ გიგა ფარტენაძის გარდაცვალების მიზეზია ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება, ღეროს დისლოკაციით და ჩაჭედვით. აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით შოთა შანიძის, ლევან მოისწრაფიშვილისა და გიორგი სეხნიაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ათიდან ცამეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესი

◎ ვითარება

სპორტის სამინისტროში „სოხუმის“ გადარჩენაზე იმსჯელეს

მას შემდეგ, რაც სუპერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „სოხუმს“ ფინანსური პრობლემები შეექმნა, მისი კრიზისიდან გამოყვანა ვერა და ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ, არც საზოგადოება იჩენს დიდ ინტერესს „სოხუმის“ გადასარჩენად, რადგან 10 დღის განმავლობაში „სოხუმის“ დასახმარებლად გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე მხოლოდ 300-მდე ზარი შევიდა. თითოეული ზარის ღირებულება 1 ლარია.

ამ დღეებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ ფინანსური კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ლევან ყიფიანი (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი), თამაზ თევზაძე (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე), მიხეილ გაბრიჩიძე (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი), გიორგი ქართველიშვილი (კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი), კახა შენგელია (ვიცე-პრეზიდენტი), ვაჟა კვარაცხელია („სოხუმის“ მთავარი მწვრთნელი), ლიკა ქაჯაია („სოხუმის“ ასაკობრივი გუნდის მთავარი მწვრთნელი), ალექსანდრე დოლიძე („სოხუმის“ ფინანსური მენეჯერი) და „სოხუმის“ მოთამაშეები — გრიგოლ შვანგირაძე და რატი ბაკაშვილი ესწრებოდნენ. ღონისძიების დასრულების შემდეგ ყიფიანმა, გაბრიჩიძემ და კვარაცხელიამ მასმედიისთვის კომენტარი გააკეთეს:

ლევან ყიფიანი: „პირველ რიგში მადლობა „სოხუმის“ მწვრთნელებსა და კალათბურთელებს, რომლებმაც გუნდი გაჭირვების დროს არ მიატოვეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ გუნდმა მიმდინარე სეზონი დაასრულოს და მომავალში მის არსებობაზე აღარ იყოს საუბარი...“

მიხეილ გაბრიჩიძე: „სოხუმი“ საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა, ამიტომ მისიპრობლემები ყველასთვის დიდი წუხილია. ფინანსური პრობლემების გამო გუნდმა მიმდინარე ჩემპიონატი შეიძლება ვერ გააგრძელოს. პირველ რიგში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა „სოხუმი“ კრიზისიდან გამოვიდეს.

— ამ ეტაპზე თუ არის „სოხუმის“ ფინანსური კრიზისიდან გამოყვანის რაიმე გზა?

— „სოხუმის“ კრიზისიდან გამოყვანის რამდენიმე ვარიანტი განიხილება,თუმცა, რაიმე კონკრეტული გამოსავალი ჯერ არ ჩანს“.

ვაჟა კვარაცხელია: „კონსტრუქციული შეხვედრა გვქონდა. ამ ეტაპზე ჩვენი უმთავრესი მიზანი მიმდინარე სეზონის დასრულებაა.

ერთადერთი, რაც აფხაზეთიდან დევნილებს ჩვენს ისტორიულ კუთხეს გვაგონებს, ეს საკალათბურთო გუნდი „სოხუმია“. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაოცებული დავრჩი, როცა გუნდისთვის გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშზე (0901900910, 1 ზარი 1 ლარი) 10 დღის განმავლობაში მხოლოდ 300-მდე ზარი დაფიქსირდა. აფხაზეთის მთავრობას შეუძლია ამ აქციას ორგანიზება გაუწიოს და ამ შემთხვევაში ზარების რაოდენობამ შეიძლება ასი ათასს მიაღწიოს.

— დახმარებისთვის აფხაზეთის ადგილმონაცვლე მთავრობას თუ მიმართეთ?

— მივმართე, მაგრამ მითხრეს, რომ ბიუჯეტი მთლიანად გაწერილი გვაქვს და ვერ დაგეხმარებითო. შემდეგ გავიგე, რომ აფხაზეთის მთავრობას სარეზერვო ფონდიდან შეეძლო დაგვხმარებოდა. მთავარია კეთილი ნება, თორემ გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება. აღსანიშნავია, რომ არსებობის განმავლობაში „სოხუმი“ წლეულს ყველაზე კარგ სეზონს ატარებს. გუნდმა მოიგო დუდუ დადიანის მემორიალი, ითამაშა ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას მემორიალის ფინალში, 29 მარტს კი საქართველოს თასის ფინალში „ქუთაისი-2010“-ს დაუპირისპირდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ეტაპის სტარტზე გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის „დინამომ“, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და ახალი მთავარი მწვრთნელის მალხაზ ჟვანიას თავკაცობით სამი დამარცხების შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა.

„დინამო — „გურია“ 3:0.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალ კლუბში თავისი პირველი ბურთი გაიტანა „თეთრ-ლურჯთა“ დებიუტანტმა ოთარ მარცვალაძემ. ეს 50-ე წუთზე ისეთ სიტუაციაში მოხდა, რომელიც ტრიბუნიდან თამაშგარე მდგომარეობას წააგავდა. რაც შეეხება პირველ ტაიმს, თანაბარ ბრძოლაში ჩისკომ ანგარიში 38-ე წუთზე სტუმართა მცველის კილაძის უხეში შეცდომის შემდეგ გახსნა, სეზონის აღმოჩენის რბევას კი წერტილი 83-ე წუთზე მინდორზე შემცვლელად შესულმა გლიშიჩმა დაუსვა, რომელმაც „ცაციათი“ ბურთი მეკარე ბობღიაშვილს „ცხრიანში“ ჩაუსვა.

დანარჩენი შედეგები: „ზესტაფონი“ — „მეტალურგი“ 2:0, „სიონი“ — „ჩიხურა“ 2:1.

საუკეთესო ექვსეულის სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 51, „ზესტაფონი“ — 43, „ჩიხურა“ — 38, „სიონი“ — 36, „გურია“, „მეტალურგი“ — 33-33 ქულა.

შაბათს XXIV ტურში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება ჩემპიონატის საკვანძო მატჩი: „დინამო“ — „ზესტაფონი“.

* * *

იტალია. „რომა“ — „ტორინო“ 2:1.

ინგლისი. „მანჩესტერი“ — „სიტი“ 0:3, „არსენალი“ — „სუონსი“ 2:2, „ნიუკასლი“ — „ევერტონი“ 0:3.

ესპანეთი. „მალაგა“ — „ესპანიოლი“ 1:2, „ელჩე“ — „ბილბაო“ 0:0.

გერმანია. „ბორუსია“ — „შალკე“ 0:0, „ვერდერი“ — „ვოლფსბურგი“ 1:3, „ბრაუნშვაიგი“ — „მაინცი“ 3:1, „ჰერტა“ — „ბაიერნი“ 1:3. ამ გამარჯვებით ბავარიელებმა ფინიშამდე 7(!) ტურით ადრე გაინაღდეს ბუნდესლიგის ჩემპიონობა.

გიორგი შოთაძე

◎ ექო

საქართველოს რაგბის კავშირის მსაჯთა კოლეგიის განცხადება

მიმდინარე წლის 20 მარტს რუსთავის „ხარებისა“ და ბოლნისის „ყოჩების“ შეხვედრისას მომხდარი ფაქტი გახდა განსჯის საგანი მთელი ქართული სარაგმო თემისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ნანობს თავის შეცდომას და ვიზიარებთ იმ აზრს, რომ მომხდარი ფაქტი რაგბისათვის ყოვლად დაუშვებელია.

მსაჯთა კოლეგიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მკაცრად განსაჯა აღნიშნული თამაშის მსაჯებისადმი მაყურებლის მიერ გამოვლენილი თავშეუკავებლობის ფაქტი, რისი განმეორების შემთხვევაშიც მიღებული იქნება სადისციპლინო სანქციები.

ასევე იმედს ვიტოვებთ, რომ კლუბების და მათ შორის კლუბ რუსთავის „ხარების“ გულშემატკივარი გაითავისებს თუ რაოდენ მიუღებელია რაგბის თამაშზე ბილწსიტყვაობა როგორც სტუმარი გუნდის, ასევე მსაჯების მიმართ, რაც არავითარ ღირსებას არ მატებს არც მოთამაშეებს, არც გულშემატკივარს და არც მსაჯებს.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

ანანდი პირველობასთან ახლოსაა

რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში მიმდინარე ევროპის ღია პირველობას დამაჯერებლად ლიდერობს მსოფლიოს ექსჩემპიონი ვიში ანანდი (ინდოეთი, 2773). 10 ტურის შემდეგ ინდოელი მოჭადრაკის აქტივში 6.5 ქულაა და იგი ერთქულიანი უპირატესობით უსწრებს მეორეადგილოსან ლევონ არონიანს (სომხეთი, 2826).

5 ქულით III-V ადგილებს სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2766), პიოტრ სვიდლერი (რუსეთი, 2758) და შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2757) ინაწილებენ.

ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ და, შესაბამისად, VI-VII ადგილებზე არიან განლაგებულნი ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი, 2787) და დიმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი, 2709).

ბოლო ადგილზე 4 ქულით ასპარეზობის მონაწილე კიდევ ერთი მსოფლიოს ექსჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2785) იმყოფება.

პრეტენდენტთა ტურნირის დასრულებამდე 4 ტურია დარჩენილი და ანანდს აწი მხოლოდ რუს მოჭადრაკეებთან მოუწევს შეხვედრა. ვინაიდან სატურნირო დებულებით გათვალისწინებული იყო ხელოვნური კენჭისყრა, ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს ორივე წრის პირველ ტურებში უნდა შეხვედროდნენ.

პრეტენდენტთა ასპარეზობა 8 მონაწილეს შორის 2 წრედ ტარდება და გამარჯვებული მოჭადრაკე ნორვეგიელ მსოფლიოს ჩემპიონ მაგნუს კარლსენთან თამაშის უფლებას მოიპოვებს.

გეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

პამელა და „ალბისელესტე“

მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ფეხბურთელებზე, მწვრთნელებზე და ქომაგებზე არანაკლები მონდომებით ცნობილი მოდელები ემზადებიან, რომლებიც საყვარელი საგულშემატკივრო ნაკრებებისათვის „თავდადებასა“ და ხშირ შემთხვევაში უკადრებლის კადრებასაც კი აპირებენ.

არგენტინელი მოდელი პამელა სოსა მათგან განსხვავებით მხოლოდ არგენტინის საფეხბურთო ნაკრების მაისურით პოზიორობით შემოიფარგლება და სხვა მის თანამემამულე მოდელებსაც მოუწოდებს, რომ „ალბისელესტეს“ მხარდაჭერის სიყვარულობის ამბავში მათაც მოიზომონ თეთრ-ცისფერზოლიანი მაისურები.

სხვათა შორის, პამელა სოსა არგენტინის ნაკრების ქომაგობაში ადრევე იყო „შემჩნეული“. ჯერ კიდევ 3 წლის წინ კოპა ამერიკაზე იგი თავისი მშობლიური ქვეყნის ნაკრების არც ერთ მატჩს არ აცდენდა და მის კოხტა პროფილს ტრიბუნაზეც ხშირად ნახავდით.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სამშაბათ საღამოს კონსერვატორიაში...

ვაჟას გაბრწყინება



ვაჟა აზარაშვილზე მოგახსენებთ — ჩვენს შესანიშნავ კომპოზიტორზე, რომელიც თავისი არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით, მრავალჯერ გაბრწყინებულა, ანუ ქართველ მსმენელს უმალ აუტაცნია, გაუთავისებია ვაჟა აზარაშვილის საოცრად მელოდიური სიმღერები.

ამჯერად კი იგი კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაბრწყინდა — კამერული მუსიკის კონცერტი შესთავაზა ხალხით გადაჭედილ დარბაზს, რომელიც მქუხარე ტაშს არ იშურებდა ყოველი ნომრის შესრულების შემდეგ.

პროგრამაში კი იყო და პირველად აჟღერდა მუსიკალური ნაწარმოებები ვიოლინოსთვის, ჩელოსთვის, ფორტეპიანოსთვის, რომელსაც დიდი ოსტატობით ასრულებდნენ გიორგი ხაინდრავა, ნათია აზარაშვილი, ჰაიკ ბაბაიანი, თამარ ლიჩელი, თამარ ბულია, ირაკლი ჯაფარიძე, გიორგი ჯოხაძე, თორნიკე გეჯაძე... ცალკე უნდა აღინიშნოს კომპოზიტორის ვოკალური ციკლი ტარიელ ჭანტურიას ლექსებზე, რომლებიც (6 სიმღერა) ბრწყინვალედ შეასრულა ცნობილმა ტენორმა თემურ გუგუშვილმა. საღამოს ესწრებოდა ბატონი ტარიელიც, რომელსაც გულითადად მიესალმა დარბაზი. პოეტმა მადლობა გადაუხადა უპირველესად ვაჟა აზარაშვილს, თემურ გუგუშვილს, ყველა მუსიკოსს, დარბაზს... მოკლედ, ვაჟა აზარაშვილმა, ჭეშმარიტად გაიბრწყინა იმ საღამოს და კვლავაც ახალ-ახალი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნას დაგვპირდა.

ვილენ მარდალეიშვილი

◎ სიახლე!

მაგოთერაპია - სიელმის მკურნალობის ყველაზე ეფექტური მეთოდი

რატომ არ იციან სიელმის მკურნალობის ყველაზე ეფექტურ მეთოდზე — მაგოთერაპიაზე?

მინდა, მოგიყვეთ დაუჯერებლად ეფექტურსა და უსაფრთხო, ბუნებრივ (ფიზიოლოგიურ) მეთოდზე — მაგოთერაპიაზე (მაკა გოგიაშვილი), როდესაც მედიკამენტებისა და ქირურგიული ჩარევის გარეშე, უახლესი აპარატურის გამოყენებით, ადამიანები აგდებენ სათვალეებს, ემატებათ მხედველობა, უსწორდებათ სიელმე — და ეს ყველაფერი პროცედურიდან 1 საათში, უტკივილოდ და გაურთულებლად! ამაში მე თვითონ დავრწმუნდი, როდესაც ჩემს შვილს, რომელსაც 9 წლის მანძილზე უშედეგოდ ვმკურნალობდი სიელმეს, მაგოთერაპიით გაზარმაცებულ თვალზე აღუდგა მხედველობა და გაუსწორდა სიელმე! ამ საოცარი მეთოდის და კიდევ 12 გამოგონების ავტორი გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკის ოფთალმოლოგიური და სამეცნიერო აკადემიების ქმედითი წევრი, თვალის კლინიკა „ახალი ტექნოლოგიები — მაგო“-ს ხელმძღვანელი მაკა გოგიაშვილი.“

ქ-ნ მაკასთან მისულს, შვეიცარიიდან და ვლადიკავკაზიდან ჩამოსული პაციენტები დამხვდა, 10 სამუშაო დღეში, მათ თითქმის აღარ ეტყობოდათ სიელმე, ხოლო მხედველობა 60-80 % ჰქონდათ მომატებული! გამეხარდა, გამიკვირდა და ერთდროულად დავნაღვლიანდი, რადგან შემთხვევით ჩემს მეგობარს რომ არ ეთქვა, შეიძლება მეც ვერ გამეგო ამ საოცარი მეთოდის შესახებ! ამიტომაც გავკადნიერდი და უხერხული შეკითხვა დავუსვი ქალბატონ მაკას ? მაგოთერაპია თუ მართლაც ასეთი ძლიერი მეთოდია (ეს რომ ასეა, ამაში მეც დავრწმუნდი!), რატომ არ იციან ფართო წრეებმა ამის შესახებ? ქალბატონმა მაკამ გაიღიმა და მიპასუხა:

მეთოდის პოპულარიზაციის 2 გზა არსებობს — სამეცნიერო და სარეკლამო. სამწუხაროდ, საქართველოში სამეცნიერო კვლევები, რომელსაც მაღალტექნოლოგიური აპარატურა სჭირდება, პრაქტიკულად ვერ ტარდება, ერთადერთი გზა, ხმა მიაწვდინო კოლეგებს — სამეცნიერო კონფერენციებია (საქართველოში და უცხოეთშიც), სადაც ხშირად ვღებულობ მონაწილეობას , რათა გავაცნო მკურნალობის შედეგები ჩემს კოლეგებს. რაც შეეხება რეკლამას, აქ ძლიერი ლობისტი უნდა გყავდეს, რადგან„წყალქვეშა დინებებმა“ და „კეთილმოსურნეებმა“, რომელიც ურიცხვი რაოდენობით მყავს,შეიძლება საშვილიშვილოდ დაგაკარგვინონ სურვილი ადამიანების დახმარებისა. რატომ?

ჩვენ ყველგან ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ სათვალე არის თვალის ყავარჯენი, რომელიც ნაცვლად მკურნალობისა, დათვურ სამსახურს უწევს თვალს!. სათვალის გაკეთებისას წლების განმავლობაში მხედველობა კლებულობს, ხოლო სათვალის ზომა კი მატულობს, რაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გადაამოწმოს ახლობლებში. ამ მტკიცებულების უფლება მოგვცა იმ სამეცნიერო კვლევების ანალიზმა, რომელიც 1980 წლიდან მოსკოვში აკადემიკოს სვ. ფეოდოროვის ხელმძღვანელობით ტარდებოდა. ამ კვლევების ანალიზმა დაუდო საფუძველი მაგოთერაპიასაც, რომელიც დაცულია რუსული, ქართული და ევროპული პატენტებით, რაც მეტყველებს მეთოდის აღიარებასა და უსაფრთხოებაზე.

ფაქტობრივად, ჩვენ ამ გამონათქვამით ომს ვუცხადებთ ლინზების და სათვალეების მწარმოებელთა უზარმაზარ არმიას, ნეგატიურად განვაწყობთ კოლეგების იმ ნაწილს, ვისი საქმიანობაც ძირითადად სათვალის გამოწერით შემოიფარგლება და ვარღვევთ სტერეოტიპებს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ქართველი კოლეგების ასეთი დამოკიდებულება მაგოთერაპიის მიმართ. საბედნიეროდ, უცხოელი კოლეგების დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდება, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევების გაღრმავებას და ნაყოფიერ თანამშრომლობას!

ადრე ცრემლებამდე მივდიოდი, როდესაც ქართველი კოლეგებისგან მხოლოდ ირონია და დაცინვა მესმოდა. ახლა კი მადლობას ვწირავ მათ, რადგან მოსკოვიდან ახალ ჩამოსულს, მაშინდელ კათედრის გამგეს სამსახურიდან რომ არ გავენთავისუფლებინე, დავკმაყოფილდებოდი კანდიდატის ხარისხით, აღარ დავრუნდებოდი მოსკოვში, აღარც დოქტორანტურაში ჩავაბარებდი, არც კერძო კლინიკა მექნებოდა და არც მაგოთერაპია იარსებებდა! მე დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ ექიმს არა აქვს უფლება, უმკურნალოს, თუ იცის, რომ არასწორად მკურნალობს! ჰიპოკრატეს ფიცშიც ხომ ძირითადი პოსტულატიც ეს არის „არ ავნო!“ სტერეოტიპების დარღვევა და კონსერვატიზმის გადალახვა არც მარტივია და არც სწრაფად არ ხდება! დრო თავის ადგილს მიუჩენს ყველას და ყველაფერს! ჩვენი პაციენტები არა მარტო ჩვენი გამარჯვება, ისინი ჩვენი ყველაზე დამაჯერებელი, ცოცხალი რეკლამაა! ამიტომაც ხედავთ ამ ხალხს აქ!

ამ საუბარმა ჩამაფიქრა, და გადავწყვიტე გამეზიარებინა თქვენთვის ის ბედნიერება, რაც მე განვიცადე! და თქვენთვის მერჩია გენახათ ვიდეომასალა ინტერნეტში http://www.mago.med.ge/ და Facebook- MagoEventის კედელზე, ან დარეკეთ კლინიკა „ახალი ტექნოლოგიები — მაგო“ 12-დან 18 საათამდე. ტელ: 214 30 28, 790 73 30 28, 599 506 507.

ავთანდილ გეძაური

წერილები „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

სულთათანა

ანზორ პაიჭაძე

გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი, კარგი თბილისელი, მშენებლობის დარგის გამორჩეული სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **ანზორ პაიჭაძე,** რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოირჩეოდა თავისი თავმდაბლობით, კეთილშობილებით და პროფესიისადმი უანგარო თავდადებით.

ანზორ პაიჭაძე დაიბადა 1932 წლის 15 სექტემბერს თბილისში. დაამთავრა თბილისის ყოფილი მე-7 ვაჟთა სკოლა, ხოლო 1951 წელს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრის სპეციალობით. შრომითი საქმიანობა განაწილებით დაიწყო ქ. კრასნოდარში სპეციალიზებულ სამშენებლო სამმართველოში ათისთავად, სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად, ხოლო 1958 წლიდან თავის მშობლიურ ქალაქშია და მუშაობას აგრძელებს საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტორის სახელმწიფო კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1960-64 წ.წ. იგი გადაჰყავთ სახელმწიფო კონტროლის კომიტეტში დარგობრივი სამსახურის ერთ-ერთ ხელმძღვანელად. 1964 წლიდან საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სისტემაშია ჯერ მთავარ სპეციალისტად, განყოფილების უფროსად, სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად, ტრესტის მმართველად. 1974 წელს დაინიშნა რესპუბლიკური გაერთიანება „საქფოტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილედ მშენებლობის დარგში, ხოლო 1983 წელს რესპუბლიკის აგროსამრეწველო სახელმწიფო კომიტეტის კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად, კოლეგიის წევრად. 1984 წლიდან პენსიაში გასვლამდე მუშაობდა რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ თავმჯდომარის მოადგილედ და „საქკოლმეურმშენის“ გამგეობის თავმჯდომარედ.

წავიდა კაცი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს, ძვირფასი და საამაყო შვილებისა და შვილიშვილების აღზრდას, მეგობრებისა და კოლეგებისადმი ურთიერთპატივისცემასა და როგორც ერთ-ერთი ძირძველი ვერელი, მშობლიური თბილისის კეთილდღეობის საქმეს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამუდამო სასუფეველში ანზორ პაიჭაძის სული. იგი დაუვიწყარი იქნება მისი ახლობლებისა და მეგობრებისათვის.

**საქართველოს მშენებელთა ფედერაცია,
საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა
საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი,
მეგობრების ჯგუფი.**

შვილები ლიკა, თემური, შვილიშვილები გიორგი, ნიკოლოზ, ლიკა ბულისკერიები, დისწულები გივი, ნაური ჯიქიები, რძალი ანჟელა ბურდზიევა, სიძე აკაკი ნადარეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევგენია (ჟენია) პაპასკირი

პანაშვიდი 28, 29 III, 16 სთ. დიღმის მასივი, Vკვ. IX კორპ. IV სართული. გამოსვენება — 30 III, 14 სთ.

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლიკა და აკაკი ნადარეიშვილებს დედისა და სიდედრის

ევგენია (ჟენია) პაპასკირის

გარდაცვალების გამო.

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი, ვილენ მარდალეიშვილი თანაუგრძნობენ ლიკა და აკაკი ნადარეიშვილებს დედისა და სიდედრის

ევგენია (ჟენია) პაპასკირის

გარდაცვალების გამო.



შვილი გიორგი რუსიაშვილი, ოჯახის წევრები და ახლობლები იუწყებიან

ჯუმბერ რუსიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 III, გამოსვენება ქეთევან წამებულის ქ. №74, 14 სთ.

მეგობრები თეიმურაზ ანდღულაძე, თენგიზ კალანდაძე, არჩილ მშვენიერაძე, ჯემალ ლეონიძე, ვახტანგ ყურაშვილი, სპარტაკ ხუნწელია, თეიმურაზ ბაქრაძე გულისტკივილით იუწყებიან შესანიშნავი პიროვნების

ჯუმბერ რუსიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

რძალი ქეთევან უჩანეიშვილი, შვილიშვილები ამბერკ, ნატა ჯანეზაშვილები იუწყებიან

მზია სვანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 II, დავით გარეჯელის ქ. №52. გამოსვენება სანზონის წმინდა ნიკოლოზის ტაძრიდან, ჩარგლის ქ. №37. 29 III, 14 სთ.

თენგიზ ნათაძე, თენგიზ კალანდაძე, რეზო სტურუა, ჯამბულ წულაია, დემეტრე ჯაიანი, თამაზ რეხვიაშვილი, ჯემალ უგულავა, ჯემალ შავლაძე, ავთო მიქაძე, ვახტანგ ყურაშვილი, დავით ზეიკიძე, ენგურ ფოჩხუა, რობიზონ არაბული, დაჩი ჩხიკვაძე, გურამჩიკა სვანიძე, ზურიკო აგაიანი, სპარტაკ ხუნწელია გულისტკივილით იუწყებიან უსაზღვრო ერთგულებითა და სათნოებით დაჯილდოებული ქალბატონის

მზია სვანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

დაიჯესტი

„პატარა მწყემსები“ დამალობანას თამაშობენ

ახალ ზელანდიაში მერჩისონის ქედის ალპურ მდელოებში გასაოცარი ბედის ფრინველი ბინადრობს, რომელსაც „პატარა მწყემსს“ —„ტაკახეს“ უწოდებენ.

საქმე ისაა, რომ გასული საუკუნის მანძილზე ეს ფრინველი გადაშენდა — მეცენიერებმა მის კვალს ვერსად ვერ აგნებდნენ, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ კი იგი რაღაც შეუცნობელი მანქანებით თავისი რიცხოვნობის აღდგენას ახერხებდა. ბოლოს ტაკახეს პოპულაციას მეცნიერებმა 1948 წელს მიაგნეს და მას შემდეგ, რომ იტყვიან, „თვალს არ აცილებენ“. ზრდასრული „პატარა მწყემსები“ დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლისანი იზრდებიან და სამ კილოგრამამდე იწონიან. მეცნიერები შიშობენ, რომ ტაკახემ, შესაძლოა, მრავალი სამუდამოდ გადაშენებული ცხოველის ბედი გაიზიაროს —მათი პოპულაციაში მხოლოდ ასოცი ფრინველია.

პამიდვრისა შინებიათ, თურმე...



ბუზები აბეზარა არსებანი არიან: ზაფხულობით ისინი გვარიანად აწუხებენ ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებს.

მათ წინააღმდეგ სხვადასხვა ქიმიური ნაერთები ყოველთვის ეფექტიანი არაა, თან ხშირად ადამიანებისთვისაც უვნებელი არ არის. არადა, გერმანელ ბიოლოგებს თუ დავუჯერებთ, ბუზების წინააღმდეგ მარტივი და ნაღდი საშუალება არსებობს: საამისოდ საჭიროა, ოთახში პამიდვრის რამდენიმე მსხმოიარე ბუჩქი დადგათ და ბუზები იქაურობას აღარ გაეკარებიან.

სად უფრო მეტი ხიფათია?

ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, ქალაქში რომელიმე მტაცებლის დაკბენის საშიშროება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთი ამერიკის ჯუნგლებში ან აფრიკის სავანაში. ქალაქის ქუჩებში ადამიანებს გველები, გიენები, მგლები, პავიანები, მორიელები და სხვა სახიფათო ცხოველები და მწერები კბენენ.

ამერიკის დიდ ქალაქებში მრავალი ზოოლოგიური მაღაზიაა, სადაც იშვიათი ჯიშების ცხოველები იყიდება. ხშირია შემთხვევები, როცა, ვთქვათ, მგლის ლეკვს ყიდულობს ვინმე და თავიდან მთელი ოჯახი დიდად გახარებულია. მაგრამ მას შემდეგ, რაც მტაცებელი გაიზრდება და სახიფათო გახდება, მას, უბრალოდ, ქუჩაში აგდებენ. ასე ექცევიან მაიმუნებს, ლემურებს, ეგზოტიკურ ტროპიკულ მწერებს, ათასნაირ ხვლიკებს. პოლიციის დეპარტამენტში საგანგებო სამსახურიც კი შექმნეს ქალაქში ველური ცხოველების დასაჭერად. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ნიუ-იორკის ქუჩებში რამდენიმე ვეფხვი, შიმპანზე, ნიანგი და ერთი კობრაც კი დაიჭირეს.

აგრესიული აფროსნები

ბევრს ჰგონია, რომ მინდვრად მოფარფატე ლამაზი ჭრელი პეპლები სუსტი და ადვილად დასაჩაგრი არსებანი არიან, არადა ეს ასე ნამდვილად არ არის. მრავალი ჯიშის პეპლის მამრები იმდენად აგრესიულნი და სასტიკნი არიან, მეტადრე თავის ტერიტორიაზე, რომ „საომარი მოქმედებების“ დასაწყებად პატარა საბაბიც ჰყოფნით.

მაგალითად, პეპელა-სატირი უმალ ეცემა ხოლმე ნებისმიერ მწერს, რომელიც მის ტერიტორიაზე შემოიჭრება, თუნდაც ზომით მასზე ორჯერ დიდი იყოს. მაგრამ განსაკუთრებული აგრესიულობით შავი პეპელა-აფროსანი გამოირჩევა: ცნობილია შემთხვევები, როცა მამრი პატარა ჩიტებს მარტო კი არ უტევდა, არამედ მისდევდა კიდეც!

რეკორდსმენი სალათა

მასაჩუსეტსის ამჰერსტის უნივერსიტეტში რეკორდული ხილისა და კენკრის სალათა მოამზადეს. ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად

მოწყობილ დღესასწაულზე, უნივერსიტეტელმა მზარეულებმა — ხუთასმა სტუდენტმა და თანამშრომელმა — 150 სახეობის ხილი და კენკრა გამოიყენეს.

რეკორდულ, 6835-კილოგრამიან სალათაში მზარეულებმა 1,6 ტონა 20 ჯიშის ვაშლი, დაახლოებით ერთი ტონა 19 ჯიშის ნესვი, უამრავი ატამი, ბანანი, ფორთოხალი, სხვადასხვა კენკრა, ასევე კომში, მარაკუია და რამბუტანიც კი ჩააჭრეს (სიმართლე გითხრათ, ეს ბოლო ორი ხილი „რა ბიჭია“, რედაქციაში არ ვიცით). გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა ეს მიღწევა დაამოწმეს.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყშინაკ-ი ვარსყლებიკან

„ივანიშვილი რომ არა, მარგველაშვილს ხმას ყოფილი ცოლებიც არ მისცემდნენ“

— დაუნდობელია აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, — ივანიშვილთან დაპირისპირება მისი უმადურობაა, ივანიშვილი რომ არა, მარგველაშვილი ათას ხმას ვერ აიღებდა. თავისი ყოფილი ცოლები და მისი ოჯახი არ მისცემდა მას ხმას. ივანიშვილს ისე დაჰყავდა, ფილმში რომ დაჰყავს ქალს შემოულაწუნე, ივანიშვილი პატიოსანი კაცია, სჯეროდა მისი... მარგველაშვილი იყო სოროსის ფონდის გაზრდილი, ლევან რამიშვილის მეგობარი, ლევან რამიშვილზე დიდი მტერი კი საქართველოს არ ჰყოლია...

„ახალი თაობა“

ზურაბ ჟვანიას მკვლელობის კვალი კახა თარგამაძემდე მიდის?

უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე საუბრისას აქცენტს რუსულ კვალზე აკეთებს და არ გამორიცხავს, რომ კვალი შსს-ს ყოფილ მინისტრ კახა თარგამაძემდე მივიდეს... „ჟვანიას გადაწყვეტილება, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადამდგარიყო, კახა თარგამაძის ჩამოცილების საშუალება გახდა. იმხანად თარგამაძე მხოლოდ შსს-ს კი არა, უშიშროებასაც აკონტროლებდა და, პრაქტიკულად, ქვეყნის მომავალ მმართველად ითვლებოდა.

„ძართული სიტყვა“

SOS ნაციონალების ხაფანგი

„ნაციონალები“ აპრილში საპროტესტო აქციებს აანონსებენ. მათ შინაგანად სჯერათ, რომ ხალხის გარკვეულ ნაწილს აიყოლიებენ, ხოლო მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ახალი ხელისუფლება რუსულ გზას არჩევს. 24 მარტს, კინოს სახლთან მომხდარი ინციდენტი ამის რეპეტიცია იყო და წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ შემდეგ აქციაზე არა 50, არამედ 1000 კაცი მივა. ნაციონალებს კი 1000 კაცის გამოყვანა რეალურად შეუძლიათ და არც არეულობის ინსცინირება იქნება რთული.

„ვერსია“

ინფორმაცია

ბრაკონიერების მიერ მოკლული რეინჯერის ახლობლებმა აქცია გამართეს

საქართველოს მთავარ პროკურატურასთან 2012 წლის 16 მაისს გარდაცვლილ რეინჯერ მერაბ არევაძის ახლობლები საპროტესტო აქციას მართავენ. ისინი მთავარ პროკურორთან შეხვედრასა და აღნიშნული საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვენ.

გარდაცვლილის ახლობლების ინფორმაციით, რეინჯერი მერაბ არევაძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ექვსმა ბრაკონიერმა მოკლა. მათი ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე მხოლოდ ორი ადამიანი გასამართლდა, სასჯელს კი ერთი პირი იხდის.

აქციის მონაწილეების მოთხოვნაა, რომ ექვსივე ბრაკონიერი პასუხისგებაში მიეცეს. აქციის მონაწილეებს აქვთ ეჭვი, რომ აღნიშნულ პირებს წინა ხელისუფლების წარმომადგენლები მფარველობენ. მათ შორის აქციის მონაწილეები „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს მამუკა ჭყოიძეს ასახელებენ.

ამასთან, გარდაცვლილის ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, საქმესთან დაკავშირებული ექსპერტიზის დასკვნა გაყალბებულია.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

ცოლი ავტობუსში ქმარს ეკითხება:

— შე გაუმაძღარო კურო, შე ხელიდან წასულო მექალთანევ, ქალს არ გაუშვებ, რომ არ აედევნო, ლოველასო!

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენ მაგას ეჩხუბებით თუ რეკლამას უწევთ? — ეკითხება მას გვერდით მდგომი ქალი.

* * *

სიდედრს ცირკის ბილეთი ვუყიდე... პირველ რიგში... არენაზე ვეფხვები და ლომები გამოვლენ... ახლა ვზივარ და სიდედრის ფეხსაცმელებს საქონლის ქონით ვპოხავ...

* * *

ცოლ-ქმარი რესტორანში საუბრობენ.

— შეხედე, ძვირფასო, კუთხეში რომ ზის, ის კაცი ვიქტორ ჰიუგო ხომ არ არის? — ეკითხება ცოლი.

— რას ამბობ, საყვარელო, ის ხომ დიდი ხნის წინათ მოკვდა.

— არა, არა, მოკვდა კი არა, შეხედე, მოძრაობს!

* * *

თუ ღამით დისკოთეკიდან გამოხვალთ და თავაწეული დიდხანს უყურებთ ცაზე ვარსკვლავებს, ცხვირიდან სისხლის დენა შეწყდება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24